

საქართველოს უნივერსიტეტი

საბაკალავრო სწავლების დებულება

დამტკიცებულია აკადემიური საბჭოს გადაწყვეტილებით
28.03.2011

1. სტუდენტთა მიღება	4
1.1 ერთიანი ეროვნული გამოცდებით სტუდენტების მიღება	4
1.2 ერთიანი ეროვნული გამოცდების გავლის გარეშე სტუდენტების მიღება.....	5
1.3 უცხო ქვეყნის მოქალაქეებისა და მოქალაქეობის არმქონე პირთა უნივერსიტეტში ჩარიცხვა;	5
1.4 უნივერსიტეტში გადაყვანის წესით ჩარიცხვა (მობილობა)	5
1.5 ინფორმაცია სტუდენტის შესახებ	7
2. სტუდენტთა რეგისტრაცია.....	7
2.1 ადმინისტრაციული რეგისტრაცია.....	7
2.2 პირგასამტეხლო	8
2.3 აკადემიური რეგისტრაცია	9
3. სტუდენტის სტატუსის შეჩერება, შეწყვეტა, აღდგენა, შიდა მობილობა.....	9
3.1 სტუდენტის სტატუსის შეჩერება.....	9
3.2 სტუდენტის სტატუსის შეწყვეტა	10
3.3 სტუდენტის ინიციატივით ხელშეკრულების შეწყვეტა.....	11
3.4 სტუდენტის სტატუსის აღდგენა	11
3.5 შიდა მობილობა.....	12
4. მიღებული განათლებისა და კრედიტების აღიარების წესი	12
5. ღირსების კოდექსი	14
5.1 პრეამბულა.....	14
5.2 აკადემიური ღირსება და კეთილსინდისიერება.....	15
6. დისციპლინური კოდექსი.....	16
6.3 დისციპლინური დევნა.....	18
6.4 სანქციები	18
7 სასწავლო პროცესის ორგანიზება	18
7.1 სწავლის ხანგრძლივობა.....	18
7.2 სალექციო დრო	19
7.3 სასწავლო სემესტრი.....	19
7.4 სტუდენტთა რაოდენობა ჯგუფში.....	20
7.5 სტუდენტთა სემესტრული დატვირთვა	20
7.6 უქმე დღეები და არდადეგები.....	20
7.7 ზაფხულის სემესტრი	20
7.8 ლექციებზე დასწრება	21
7.9 ლექტორის და კურსის შეფასება.....	21
8 გამოცდები.....	21
8.1 გამოცდაზე დაშვების წინაპირობა და გამოცდების ჩატარების წესი	21
8.2 გამოცდის აღდგენა.....	22
8.3 გამოცდის აღდგენის პროცედურა:.....	23
8.4 გამოცდაზე ქცევის წესები.....	23
8.5 გამოცდის შეფასებით უკმაყოფილების შემთხვევაში	24
8.6 გამოცდის მიმდინარეობით უკმაყოფილების შემთხვევაში	24
8.7 სემესტრული სტიპენდია და სხვა სახის წახალისებები	24
8.8 შეფასების სისტემა	25
8.9 რეფერატის მომზადება და მისი პრეზენტაცია.....	27
9 „ჩემი UG“ და მისი გამოყენების წესები	28
9.1 აკადემიური რეგისტრაცია	28
9.2 შეფასებები	29
9.3 გამოცდები	29
9.4 მესიჯები	29
9.5 განცხადებები	29
9.6 საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული არჩევანის გამჭვირვალობა.....	29
10 სწავლების ენა და უცხოური ენების სწავლება საქართველოს უნივერსიტეტში	30
10.1 სწავლების ენა	30
10.2 უცხოური ენის სწავლება	30
11 საბაკალავრო ნაშრომების მომზადება–დაცვა.....	30

12	ხარისხის დამადასტურებელი დოკუმენტის გაცემა	33
13	ბიბლიოთეკით სარგებლობის წესი.....	33
13.1	ბიბლიოთეკის მუშაობის განრიგი.....	33
13.2	ბიბლიოთეკაში ქცევის წესები	33
13.3	ბიბლიოთეკაში წიგნის / მასალის მოხმარების წესი	34
13.4	მასალების (ასლების) შეკვეთა.....	34
13.5	წიგნების გატანა და დაბრუნება.....	34
14	სასერთიფიკატო კურსები.....	34

1. სტუდენტთა მიღება

1.1 ერთიანი ეროვნული გამოცდებით სტუდენტების მიღება

აკადემიური უმაღლესი განათლების პირველ საფეხურზე (საბაკალავრო პროგრამებზე) სტუდენტთა ჩარიცხვა ხორციელდება ერთიანი ეროვნული გამოცდების შედეგების საფუძველზე (კოეფიციენტებით აბიტურიენტთა რანჟირების დოკუმენტის შესაბამისად).

საბაკალავრო პროგრამებზე სწავლის უფლების მოპოვება არ ნიშნავს აბიტურიენტთა ავტომატურად სტუდენტად აღიარებას. აბიტურიენტებმა ამისთვის უნდა გააფორმონ ხელშეკრულება უნივერსიტეტთან და გადაიხადონ სწავლის დადგენილი გადასახადი, რის სარეგისტრაციო ვადებში არ შესრულების შემთხვევაში ხელშეკრულება არ გაფორმდება და აბიტურიენტი ვერ მოიპოვებს სტუდენტის სტატუსს.

მას შემდეგ, რაც აბიტურიენტები ჩააბარებენ ეროვნულ გამოცდებს და მოიპოვებენ საქართველოს უნივერსიტეტში სწავლის უფლებას, მათ უნდა გაიარონ პირველადი ადმინისტრაციული რეგისტრაცია უნივერსიტეტის რექტორის აქტით დადგენილ ვადებში, რაც გულისხმობს სარეგისტრაციო საბუთების შემოტანას და ხელშეკრულების გაფორმებას;

1.1.1 საბაკალავრო პროგრამებზე ჩარიცხული სტუდენტი ვალდებულია უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე: (www.ug.edu.ge) შეავსოს ონლაინ განაცხადი-აპლიკაცია და წარმოადგინოს:

- პირველი სასწავლო წლის სწავლების საფასურის გადახდის (სრულად ან სემესტრულად გასაფორმებელი ხელშეკრულების ტიპის მიხედვით) დამადასტურებელი ქვითარი;
- სკოლის ატესტატის დედანი, ასლი, და ელექტრონული ვერსია; იმ შემთხვევაში, თუ ატესტატი არ არის გაცემული საქართველოში, ატესტატს თან უნდა ახლდეს ცნობა ავთენტიკურობის შესახებ, რომლის მიღება შესაძლებელია განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში.
- პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის დედანი, იმ გვერდების ასლი და ელექტრონული ვერსია, სადაც მფლობელის შესახებ ინფორმაცია არის მოცემული; იმ შემთხვევაში, თუ პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტი არ არის გაცემული საქართველოში, მას თან უნდა ახლდეს ნოტარიულად დამოწმებული თარგმანი;
- ნაბეჭდი ფოტოსურათი (3X4) და ელექტრონული ვერსია;
- სამხედრო აღრიცხვაზე ყოფნის დამადასტურებელი დოკუმენტის დედანი, იმ გვერდების ასლი და ელექტრონული ვერსია, სადაც მფლობელის შესახებ ინფორმაცია არის მოცემული (ვაჟების შემთხვევაში);

სარეგისტრაციოდ მოთხოვნილი დოკუმენტების ელექტრონული ვერსიები წარმოდგენილ უნდა იქნას CD-ზე.

ზემოთაღნიშნული დოკუმენტაცია (გარდა პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის დედნისა და სამხედრო აღრიცხვაზე ყოფნის დამადასტურებელი დოკუმენტის დედნისა) ერთიანი ეროვნული გამოცდების გავლის დამადასტურებელ სერტიფიკატთან ერთად ინახება სტუდენტის პირად საქმეში. სტუდენტს შეუძლია განაცხადების საფუძველზე განსაზღვრული ვადით გამოითხოვოს პირად საქმეში არსებული დოკუმენტაცია. ვადების დარღვევა შეიძლება გახდეს სტუდენტის სტატუსის შეჩერების საფუძველი.

გრანტის არსებობის შემთხვევაში, სტუდენტმა, რომელიც იხდის სწავლის სრულ საფასურს, გადასახდელ თანხას უნდა გამოაკლოს შესაბამისი სასწავლო წლის გრანტი. სტუდენტმა, რომელიც იხდის სწავლის საფასურს სემესტრების მიხედვით, პირველ სემესტრში უნდა გადაიხადოს სწავლის საფასურის ნახევარი, მეორე სემესტრში კი განსხვავება სწავლის საფასურის მეორე ნახევარსა და გრანტს შორის. სწავლის საფასურის გადახდის გადავადებასთან დაკავშირებულ ინდივიდუალურ შემთხვევებს განიხილავს სოციალურ საკითხთა კომისია, რომელსაც აბიტურიენტებმა უნდა მიმართონ შესაბამის ვადებში (1.09–10.09).

რექტორის ადმინისტრაციული აქტით განსაზღვრულ ვადებში მოთხოვნილი დოკუმენტაციის წარმოდგენის საფუძველზე, აბიტურიენტთან ფორმდება ხელშეკრულება.

ხელშეკრულება სტუდენტსა და უნივერსიტეტს შორის იდება ერთხელ და ის მოქმედებს უნივერსიტეტში სტუდენტის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის მთელი ხანგრძლივობის განმავლობაში (იგულისხმება

უნივერსიტეტის კომპეტენტური სტრუქტურული ერთეულის მიერ დამტკიცებული პროგრამის ხანგრძლივობა). შესაბამისად, არ ექვემდებარება გადასინჯვას არც სწავლების ის ღირებულება, რომელიც აღნიშნულია ხელშეკრულებაში მისი ხელმოწერის დროს. სტუდენტთან გაფორმებული ხელშეკრულების პირობების ცალმხრივად შეცვლა დასაშვებია მხოლოდ გარემოებათა არსებითი ცვლილებების დროს, რაც დგინდება საქართველოს მთავრობის დადგენილებით. მთავრობის დადგენილების გარეშე უნივერსიტეტი უფლებამოსილია შეცვალოს სწავლის საფასურის ოდენობა, თუ, ხელშეკრულების პირობები, სწავლის საფასურის გაზრდის შესაძლებლობასთან დაკავშირებით ცნობილი იქნება სტუდენტებისათვის ერთიანი ეროვნული გამოცდებისათვის მათ რეგისტრაციამდე. აღნიშნული პირობები უცვლელად ხდება ხელშეკრულების ნაწილი.

1.2 ერთიანი ეროვნული გამოცდების გავლის გარეშე სტუდენტების მიღება

ერთიანი ეროვნული გამოცდების გავლის გარეშე ბაკალავრიატის საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლის უფლება, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ დადგენილი წესით და დადგენილ ვადებში, უნივერსიტეტის რექტორის წერილობითი თანხმობის საფუძველზე, უნივერსიტეტისათვის დადგენილი სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის ფარგლებში დასაშვებია:

- აბიტურიენტებისათვის, რომლებმაც უცხო ქვეყანაში მიიღეს სრული ზოგადი ან მისი ექვივალენტური განათლება და სრული ზოგადი განათლების ბოლო 2 წელი ისწავლეს უცხო ქვეყანაში;
- სტუდენტებისათვის, რომლებიც უცხო ქვეყანაში ცხოვრობდნენ ბოლო 2 ან მეტი წლის განმავლობაში და სწავლობენ უცხო ქვეყანაში ამ ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში.

უნივერსიტეტის რექტორის თანხმობა გაიცემა პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის წარმოდგენის შემდეგ.

1.3 უცხო ქვეყნის მოქალაქეებისა და მოქალაქეობის არმქონე პირთა უნივერსიტეტში ჩარიცხვა;

საქართველოს უნივერსიტეტი უფლებამოსილია სტუდენტთა ზღვრული ოდენობის ფარგლებში განსაზღვროს ადგილები უცხო ქვეყნის მოქალაქეებისა და მოქალაქეობის არმქონე პირთათვის;

უცხო ქვეყნის მოქალაქეებისა და მოქალაქეობის არმქონე პირებისათვის უნივერსიტეტის მიერ შეიძლება დადგენილ იქნეს საქართველოს მოქალაქეებისათვის დადგენილი სწავლის საფასურისგან განსხვავებული ოდენობა;

უცხო ქვეყნის მოქალაქეებისა და მოქალაქეობის არმქონე პირთა ჩარიცხვა ხორციელდება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ კანონმდებლობით დადგენილი წესების შესაბამისად;

საქართველოს უნივერსიტეტში უცხო ქვეყნის მოქალაქეებისა და მოქალაქეობის არმქონე პირთა ჩარიცხვის წინაპირობაა უნივერსიტეტის რექტორის წერილობითი თანხმობა, რომელიც გაიცემა პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის და იმ შემთხვევაში, თუ დოკუმენტი გაცემულია უცხოურ ენაზე, ასევე მისი ნოტარიულად დამოწმებული ასლის წარმოდგენის შემდეგ.

შენიშვნა: სწავლის უფლების მოპოვება არ ნიშნავს აბიტურიენტთა ავტომატურად სტუდენტის სტატუსის მოპოვებას. აბიტურიენტებმა ამისთვის უნდა შემოიტანონ საბუთები, გააფორმონ ხელშეკრულება უნივერსიტეტთან და გადაიხადონ სწავლის დადგენილი გადასახადი, რის სარეგისტრაციო ვადებში არ შესრულების შემთხვევაში ხელშეკრულება არ გაფორმდება და აბიტურიენტი ვერ მოიპოვებს სტუდენტის სტატუსს.

1.4 უნივერსიტეტში გადაყვანის წესით ჩარიცხვა (მოზილობა)

საქართველოს უნივერსიტეტში გადაყვანის წესით ჩარიცხვა ხორციელდება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 4 თებერვლის №10/ნ ბრძანებისა და ამ დებულებით დადგენილი წესის შესაბამისად.

გადაყვანის წესით ჩარიცხვის უფლება აქვს სტუდენტს, რომელიც სწავლობს ავტორიზებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში, ან იმ არავტორიზებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში, რომლის საგანმანათლებლო პროგრამის ნაწილი კანონმდებლობით დადგენილი წესით ითვლება აკრედიტებულად; ან იმ უცხო ქვეყნის/ოკუპირებული ტერიტორიის უმაღლეს საგანმანათლებლო

დაწესებულების სტუდენტს, რომლის პროგრამა და შედეგები აღიარებული იქნება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ.

მობილობა შესაძლებელია განხორციელდეს უმაღლესი განათლების ერთი საფეხურის ფარგლებში, კალენდარული წლის განმავლობაში ორჯერ, კომპეტენტური სახელმწიფო ორგანოს მიერ დადგენილ ვადაში, უნივერსიტეტის მიერ დარეგისტრირებულ და გამოქვეყნებულ ვაკანტურ ადგილებზე.

დაუშვებელია მობილობა პროფესიული უმაღლესი განათლების პროგრამიდან ბაკალავრიატის საგანმანათლებლო პროგრამაზე.

მობილობის უფლება სტუდენტს წარმოეშობა უმაღლესი განათლების შესაბამის საფეხურზე სწავლის ერთი წლის შემდეგ. სწავლების პერიოდში არ შედის ის დრო, რომლის განმავლობაშიც პირს შეჩერებული ჰქონდა სტუდენტის სტატუსი, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც დაწესებულება ლიკვიდირებულ იქნა უფლებამონაცვლის განსაზღვრის გარეშე, დაწესებულებამ დაკარგა ავტორიზაცია/აკრედიტაცია ან დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამა აღარ ხორციელდება.

იმ პირთა ერთიანი სია, რომლებმაც გამოთქვეს სურვილი დაწესებულების შესაბამის სკოლაში/საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლის გაგრძელების თაობაზე, ქვეყნდება სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების სამსახურის ელექტრონულ პორტალზე, რის შემდეგაც მობილობის მსურველი უფლებამოსილია, განცხადებით მიმართოს მიმღებ დაწესებულებას ჩარიცხვის თაობაზე.

1.4.1 მობილობის მსურველმა სტუდენტმა შესაბამის ვადებში განცხადებას უნდა დაურთოს შემდეგი საბუთები:

- სკოლის ატესტატის ასლი, და ელექტრონული ვერსია; იმ შემთხვევაში, თუ ატესტატი არ არის გაცემული საქართველოში, ატესტატის ასლს თან უნდა ახლდეს ცნობა ავთენტიკურობის შესახებ, რომლის მიღება შესაძლებელია განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში.
- ერთიანი ეროვნული გამოცდების გავლის დამადასტურებელი სერტიფიკატის ასლი და ელექტრონული ვერსია;
- პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის დედანი, იმ გვერდების ასლი და ელექტრონული ვერსია, სადაც მფლობელის შესახებ ინფორმაცია არის მოცემული; იმ შემთხვევაში, თუ პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტი არ არის გაცემული საქართველოში, მას თან უნდა ახლდეს ნოტარიულად დამოწმებული თარგმანი;
- 2 ნაბეჭდი ფოტოსურათი (3X4) და ელექტრონული ვერსია;
- სამხედრო აღრიცხვაზე ყოფნის დამადასტურებელი დოკუმენტის დედანი, იმ გვერდების ასლი და ელექტრონული ვერსია, სადაც მფლობელის შესახებ ინფორმაცია არის მოცემული (ვაჟების შემთხვევაში);
- ამონაწერი უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში ჩარიცხვის ბრძანებიდან;
- ერთიანი ეროვნული გამოცდების ჩაბარების სერტიფიკატის ასლი და ელექტრონული ვერსია (ასეთის არსებობის შემთხვევაში);
- ცნობა სტუდენტის სტატუსის შესახებ ან ამონაწერი სტატუსის შეჩერების / შეწყვეტის ბრძანებიდან;
- სტუდენტის სასწავლო ბარათი (ნიშნების ფურცელი);
- შესაბამისი საგნ(ებ)ის სილაბუსები (სილაბუსების წარმოდგენის გარეშე კრედიტების აღიარება ვერ მოხდება);

სარეგისტრაციოდ მოთხოვნილი დოკუმენტების ელექტრონული ვერსიები წარმოდგენილ უნდა იქნას CD-ზე.

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ შექმნილ ელექტრონულ პორტალზე დარეგისტრირებული მობილობის მსურველი პირი, რომელიც დადგენილ ვადაში არ მიმართავს განცხადებით უნივერსიტეტს, კარგავს პროგრამაზე ჩარიცხვის უფლებას გარდა კანონმდებლობით გათვალისწინებული შემთხვევებისა.

უნივერსიტეტი უფლებამოსილია გასაუბრების/გამოცდის საფუძველზე დაადგინოს მობილობის მსურველი სტუდენტის ცოდნისა და უნარების თავსებადობა შეთავაზებულ საგანმანათლებლო პროგრამასთან. ასეთი თავსებადობის არარსებობის შემთხვევაში უნივერსიტეტი უფლებას იტოვებს უარი უთხრას სტუდენტს ჩარიცხვაზე.

1.4.2 მობილობის წესით ჩარიცხვის უფლების მოპოვების შემდეგ, სტუდენტმა შესაბამის ვადებში დამატებით უნდა წარმოადგინოს შემდეგი საბუთები:

- სასწავლო წლის / სემესტრის სწავლების საფასურის გადახდის (სრულად ან სემესტრულად გასაფორმებელი ხელშკრულების ტიპის მიხედვით) დამადასტურებელი ქვითარი;
- სკოლის ატესტატის დედანი;

➤ ერთიანი ეროვნული გამოცდების ჩაბარების სერტიფიკატის დედანი (ასეთის არსებობის შემთხვევაში);

1.4.1 და 1.4.2 პუნქტებით გათვალისწინებული საბუთები (გარდა პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის დედნისა და სამხედრო აღრიცხვაზე ყოფნის დამადასტურებელი დოკუმენტის დედნის) ინახება სტუდენტის პირად საქმეში. სტუდენტს შეუძლია განცხადების საფუძველზე განსაზღვრული ვადით გამოითხოვოს პირად საქმეში არსებული დოკუმენტაცია. ვადების დარღვევა შეიძლება გახდეს სტუდენტის სტატუსის შეჩერების საფუძველი.

ჩარიცხვის შემდეგ კრედიტების აღიარების საუნივერსიტეტო კომისია ადგენს სტუდენტის მიერ სხვა საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში მიღწეული სწავლის შედეგების თავსებადობას და იღებს გადაწყვეტილებას შესაბამისი კრედიტების აღიარების შესახებ. კომისიის შემადგენლობაში შედიან: პრორექტორი სასწავლო დარგში, სასწავლო პროცესის ადმინისტრირების სამსახურის უფროსი და იმ სკოლის დირექტორ(ებ)ი და დეპარტამენტის ხელმძღვანელ(ებ)ი ან სრული პროფესორ(ებ)ი, რომლის პროგრამაზე ხდება სტუდენტის ჩარიცხვა.

სტუდენტი ვალდებულია უნივერსიტეტის მიმართვის საფუძველზე ჩარიცხვის ბრძანების გამოცემიდან ერთი კვირის ვადაში წარმოადგინოს ამონაწერი სტატუსის შეწყვეტის ბრძანებიდან.

1.5 ინფორმაცია სტუდენტის შესახებ

სტუდენტი ვალდებულია პირადი და საკონტაქტო მონაცემების (მაგალითად, დროებითი მისამართის ან ტელეფონის ნომრის) შეცვლის შემთხვევაში ერთი კვირის ვადაში დააფიქსიროს ცვლილება „ჩემი UG“-ს მეშვეობით. პირადობის მოწმობის შეცვლის შემთხვევაში, სტუდენტის განცხადების და შესაბამისი დოკუმენტაციის წარმოდგენის საფუძველზე, მონაცემებს ცვლის სასწავლო პროცესის ადმინისტრირების სამსახური.

წინააღმდეგ შემთხვევაში უნივერსიტეტი იხსნის პასუხისმგებლობას აღნიშნულით გამოწვეულ შედეგებზე.

საიდენტიფიკაციო ბარათი

სტუდენტს რეგისტრაციის გავლის შემდეგ გადაეცემა საიდენტიფიკაციო ბარათი, რომელზეც აღნიშნულია სტუდენტის უნიკალური საიდენტიფიკაციო ნომერი. საიდენტიფიკაციო ბარათი სტუდენტის საშვია უნივერსიტეტში, ბიბლიოთეკასა თუ საუნივერსიტეტო ცენტრებსა და სამსახურებში შესასვლელად. დაუშვებელია სხვა სტუდენტის საიდენტიფიკაციო ბარათით სარგებლობა. სტუდენტის დაშვება მის ელექტრონულ სამომხმარებლო არეში ხდება მისი საიდენტიფიკაციო ნომრის მეშვეობით.

საიდენტიფიკაციო ბარათის დაკარგვის შემთხვევაში, სტუდენტი ვალდებულია სასწავლო პროცესის ადმინისტრირების სამსახურს განცხადებით მიმართოს „ჩემი UG“-ს შესაბამისი განყოფილებიდან. ბარათის აღდგენამდე სტუდენტს დაცვისა და უსაფრთხოების სამსახური გამოუწერს დროებით საშვს 1 კვირის ვადით.

სტუდენტი ვალდებულია გადაიხადოს საიდენტიფიკაციო ბარათის აღდგენის ღირებულება, რომლის ოდენობა ყოველ სასწავლო წელზე დგინდება რექტორის მიერ გამოცემული აქტით.

უნივერსიტეტი სტუდენტის შესახებ კონფიდენციალურ ინფორმაციას არ გასცემს გარდა კანონმდებლობით გათვალისწინებული შემთხვევებისა.

2. სტუდენტთა რეგისტრაცია

2.1 ადმინისტრაციული რეგისტრაცია

სტუდენტის ადმინისტრაციული რეგისტრაცია გულისხმობს სარეგისტრაციო ვადებში სასწავლო წლის საფასურის სრულად ან ნაწილობრივ (იმ შემთხვევაში, თუ სტუდენტი სწავლობს ერთობლივ/ორმაგ პროგრამაზე ან გაფორმებული აქვს B ტიპის კონტრაქტი) დაფარვას.

გრანტის არსებობის შემთხვევაში, სტუდენტმა, რომელიც იხდის სწავლის სრულ საფასურს, გადასახდელ თანხას უნდა გამოაკლოს შესაბამისი სასწავლო წლის გრანტი. სტუდენტმა, რომელიც იხდის სწავლის საფასურს სემესტრების მიხედვით, პირველ სემესტრში უნდა გადაიხადოს სწავლის საფასურის ნახევარი, მეორე სემესტრში კი განსხვავება სწავლის საფასურის მეორე ნახევარსა და გრანტს შორის.

ადმინისტრაციულ რეგისტრაციას მკაცრად განსაზღვრული ვადები აქვს:

- ერთობლივ და ორმაგ პროგრამებზე ჩარიცხული სტუდენტებისთვის (ასევე, მათთვის, ვისაც გაფორმებული აქვს B ტიპის ხელშეკრულება) მეორე სემესტრის სწავლის საფასურის გადახდა უნდა მოხდეს არაუგვიანეს 10 დეკემბრისა.
- II, III და IV კურსის სტუდენტებისთვის მომდევნო სასწავლო წელზე დარეგისტრირება უნდა მოხდეს არაუგვიანეს 15 ივნისისა.
- სტუდენტები, რომლებიც იღებენ ზაფხულის სემესტრს (ივნისი/ივლისი), ზაფხულის სემესტრისათვის რეგისტრირდებიან არაუგვიანეს 31 მაისისა; სტუდენტი, რომელიც არ გადაიხდის თანხას 31 მაისის ჩათვლით, ვერ გაივლის რეგისტრაციას ზაფხულის სემესტრზე.
- იმ შემთხვევაში თუ, სტუდენტს აღებული აქვს ზაფხულის სემესტრი ახალ სასწავლო წელზე (შემოდგომა-გაზაფხულის სემესტრი) რეგისტრირდება არა უგვიანეს 20 ივლისისა.
- გადაყვანის წესით ჩარიცხული სტუდენტებისთვის სასწავლო წელზე/სემესტრზე რეგისტრაცია უნდა მოხდეს რექტორის აქტით დადგენილ რეგისტრაციის ვადებში.
- იმ შემთხვევაში, თუ სტუდენტმა ვერ დაასრულა საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა 4 წლის განმავლობაში, მან უნდა გააფორმოს დამატებითი ხელშეკრულება ერთ სემესტრზე / სასწავლო წელზე. უნივერსიტეტი იტოვებს უფლებას ხელშეკრულება გააფორმოს შესაბამისი პროგრამის მიმდინარე სწავლის საფასურით. სტუდენტმა უნდა დაიცვას უნივერსიტეტში რეგისტრაციის ვადები.

სარეგისტრაციო პროცედურა საბაკალავრო სწავლების სტუდენტებისათვის		
სტუდენტები	დარეგისტრირების ბოლო ვადა	სასწავლო სემესტრი
I კურსელებისათვის	დგინდება რექტორის ადმინისტრაციული აქტით	შემოდგომა-გაზაფხული
ერთობლივ და ორმაგ პროგრამებზე ჩარიცხული სტუდენტებისთვის და მათთვის, ვისაც გაფორმებული აქვს B ტიპის კონტრაქტი	10 დეკემბერი	გაზაფხული
II, III, IV კურსელებისათვის	15 ივნისი	შემოდგომა-გაზაფხული
აკადემიური დავალიანების მქონე სტუდენტების რეგისტრაცია		
ზაფხულის სემესტრზე	31 მაისი	ივნისი – ივლისი
ახალ სასწავლო წელზე	20 ივლისი	შემოდგომა-გაზაფხული

2.2 პირგასამტეხლო

ადმინისტრაციული რეგისტრაციის ვადის დარღვევას მოსდევს სტუდენტისთვის პირგასამტეხლოს დაკისრება (სწავლის საფასურის გადახდის დაგვიანების გამო); რეგისტრაციის ვადის ამოწურვის შემდეგი დღიდან 4 კვირის განმავლობაში სტუდენტს ერიცხება პირგასამტეხლო: ყოველი გადაცდენილი კვირის განმავლობაში სტუდენტის

წლიური გადასახადის 1% (წლიურ გადასახადად ითვლება სასწავლო წელზე რეგისტრაციის საფასური, რომელიც სტუდენტის ხელშეკრულებითაა განსაზღვრული).

სარეგისტრაციო თანხის (და შესაბამისად დარიცხული პირგასამტეხლოს) გადაუხდელობის შემთხვევაში სტუდენტს შეუჩერდება სტატუსი. სტატუსის შეჩერების პერიოდში, ჩერდება სწავლის საფასურის გადაუხდელობისათვის ამ დებულებით დადგენილი სანქციის მოქმედება.

განსაკუთრებულ შემთხვევებს განიხილავს უნივერსიტეტის სოციალურ საკითხთა კომისია, რომელსაც სტუდენტმა უნდა მიმართოს განცხადებით „ჩემი UG“-ს მეშვეობით შემდეგ ვადებში:

- 15 ივნისის რეგისტრაციისთვის – 1.05–30.05
- 20 ივლისის რეგისტრაციისთვის – 20.06–10.07
- პირველ კურსელთა რეგისტრაციისთვის – 1.09–10.09
- 10 დეკემბრის რეგისტრაციისთვის – 15.11–30.11
- აღდგენის და მობილობის წესით ჩარიცხული სტუდენტების რეგისტრაციისთვის კომისია მუშაობს რექტორის აქტით განსაზღვრულ რეგისტრაციის ვადებში.

ვადების დარღვევით შემოტანილ განცხადებას კომისია არ განიხილავს.

ფინანსური დავალიანების (გასული სემესტრის/სემესტრების, ან/და შემდეგ სემესტრზე/სასწავლო წელზე) მქონე სტუდენტი, შესაბამის სასწავლო წელზე რეგისტრაციისთვის უფლებამოსილია მიმართოს უნივერსიტეტის ადმინისტრაციას (სოციალურ საკითხთა კომისია) დავალიანების განწილვადებით (გრაფიკით) გადახდის თხოვნით. სოციალურ საკითხთა კომისია ადგენს გრაფიკს, რომლის დარღვევის შემთხვევაში უნივერსიტეტი უფლებამოსილია გამოიყენოს ამ დებულებით განსაზღვრული სანქცია, კერძოდ, სტუდენტს დააკისროს პირგასამტეხლო, ხოლო დავალიანებისა და პირგასამტეხლოს გადაუხდელობის შემთხვევაში, შეუჩეროს სტატუსი.

2.3 აკადემიური რეგისტრაცია

აკადემიური რეგისტრაცია გულისხმობს სტუდენტის მიერ „ჩემი UG“-ის მეშვეობით საგნებზე რეგისტრაციას. სტუდენტი სემესტრის განმავლობაში უნდა დარეგისტრირდეს საშუალოდ 30 კრედიტზე (არანაკლებ 15 კრედიტისა, გარდა დამამთავრებელი კურსის სტუდენტებისა), შესაბამისად სასწავლო წლის განმავლობაში - 60 კრედიტზე. სასწავლო პროგრამის ან/და სტუდენტის ინდივიდუალური სასწავლო პროგრამის თავისებურებების გათვალისწინებით, დასაშვებია სტუდენტის დატვირთვა იყოს 60 კრედიტზე ნაკლები ან მეტი, მაგრამ არაუმეტეს წელიწადში 75 კრედიტისა. თუ სტუდენტი რეგისტრირდება 60-ზე მეტ კრედიტზე, მან გაზაფხულის სემესტრზე აკადემიური რეგისტრაციის პერიოდში უნდა გადაიხადოს დამატებითი კრედიტების ღირებულება. კრედიტის ღირებულება ითვლება სწავლის საფასურის გაყოფით 60-ზე.

გარდა პირველი კურსის პირველი სემესტრის სტუდენტებისა, ყველა სტუდენტი „ჩემი UG“ მეშვეობით გადის სემესტრულ აკადემიურ რეგისტრაციას.

შემოდგომის სემესტრზე რეგისტრაციის ვადები:

- სტუდენტებისთვის, რომელთაც არ აქვს ზაფხულის სემესტრი - ადმინისტრაციული რეგისტრაციის ვადის ამოწურვიდან ორი კვირის განმავლობაში (30 ივნისამდე);
- სტუდენტებისთვის, რომელთაც აქვს ზაფხულის სემესტრი - არაუგვიანეს 15 აგვისტოს;

გაზაფხულის სემესტრზე რეგისტრაციის ვადები:

- დგინდება რექტორის ინდივიდუალურ-სამართლებრივი აქტით არაუგვიანეს გაზაფხულის სემესტრის დაწყებამდე ერთი კვირისა.

3. სტუდენტის სტატუსის შეჩერება, შეწყვეტა, აღდგენა, შიდა მობილობა

3.1 სტუდენტის სტატუსის შეჩერება

სტუდენტის სტატუსის შეჩერების საფუძველია:

- დადგენილ ვადებში ადმინისტრაციული რეგისტრაციის გაუვლელობა;

- დადგენილ ვადებში აკადემიური რეგისტრაციის გაუვლელობა;
- აკადემიური შვებულება;
- ამ დებულების 1.1.1 პუნქტით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობა.

ამ პუნქტით გათვალისწინებულ დადგენილ ვადაში იგულისხმება, როგორც დებულებით გათვალისწინებული ვადა, ასევე სოციალურ საკითხთა კომისიის მიერ ან რექტორის ბრძანებით დადგენილი დამატებითი ვადა (ასეთის არსებობის შემთხვევაში);

3.1.1 აკადემიური შვებულების გაფორმების საფუძველია:

- ავადმყოფობა, რომელმაც გამოიწვია სტუდენტის უუნარობა ხანგრძლივი დროის განმავლობაში;
- უცხო ქვეყნის უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში წასვლა;
- სასამართლოს მიერ გამოტანილი გამამტყუნებელი განაჩენის კანონიერ ძალაში შესვლა, როცა განაჩენის აღსრულება უნდა მოხდეს ისეთი ფორმით, რომელიც შეუძლებელს ხდის სტუდენტის მიერ სწავლის გაგრძელებას;
- საზოგადოებრივი საქმიანობის, სპორტის თუ ხელოვნების სფეროში მოღვაწე სტუდენტების საქართველოს, რეგიონული თუ საერთაშორისო ტურნირებში, საერთაშორისო კონკურსებში, ფესტივალებში მონაწილეობის მიღების მიზნით ხანგრძლივი დროის განმავლობაში მომზადება, რაც შეუძლებელს ხდის სასწავლო პროცესში მონაწილეობის მიღებას;
- მეურვედ ან მზრუნველად დანიშვნა;
- ორსულობის, მშობიარობისა და ახალშობილის მოვლა;
- დატვირთული სამუშაო გრაფიკი;
- სხვა საპატიო მიზეზით, სკოლის საბჭოს შუამდგომლობის საფუძველზე, რექტორის მიერ კონკრეტული განცხადების განხილვის საფუძველზე მიღებული გადაწყვეტილების შესაბამისად;

ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო აკადემიური შვებულების მოთხოვნის შემთხვევაში, აღნიშნული დაიშვება მხოლოდ უნივერსიტეტის ექიმის მიერ დადასტურების შემდეგ.

სტატუსის შეჩერების მოთხოვნით, სტუდენტმა უნივერსიტეტის რექტორს უნდა მიმართოს წერილობით და თან დაურთოს სტატუსის შეჩერების საფუძველის დამადასტურებელი დოკუმენტი. აკადემიური შვებულების მოთხოვნა სტუდენტს შეუძლია შესაბამისი სემესტრის დასრულებამდე (ფინალურ გამოცდებამდე).

სწავლის დაწყებამდე განცხადებით მიმართვისა და განცხადების დაკმაყოფილების შემთხვევაში, სტუდენტს ენახება გადახდილი სწავლის საფასური. მობილობის წესით გადმოსულ, პირველკურსელთა და ერთიანი ეროვნული გამოცდების გარეშე ჩარიცხულ სტუდენტებს კი სწავლის საფასური უნარჩუნდებათ, თუ განცხადება დაწერილი იქნა ჩარიცხვიდან არაუგვიანეს ერთი კვირისა.

სემესტრის/სასწავლო წლის დაწყებიდან სტუდენტის სტატუსის შეჩერების მოთხოვნის დაკმაყოფილების შემთხვევაში სტუდენტი კარგავს შესაბამისი სემესტრის სწავლის საფასურის სხვა სემესტრში/სასწავლო წელს გამოყენების უფლებას.

ასეთი სტუდენტის მიერ სწავლის შეწყვეტისა და მისთვის თანხების დაბრუნების საკითხი წყდება ამ დებულებით დადგენილი წესით.

სემესტრის მიმდინარეობისას სტუდენტის სტატუსის შეჩერების შემთხვევაში, სტუდენტს უუქმდება შუალედური შეფასებები.

სტუდენტის სტატუსის შეჩერების დროის განმავლობაში, უნივერსიტეტი და სტუდენტი თავისუფლდებიან მათ შორის გაფორმებული ხელშეკრულებიდან გამომდინარე ურთიერთსანაცვლო უფლება-მოვალეობების შესრულებისაგან, გარდა იმ უფლებებისა და მოვალეობებისა, რომლებიც წარმოიშვა სტატუსის შეჩერებამდე. სტუდენტის სტატუსის შეჩერების მაქსიმალური ვადაა 5 წელი.

3.2 სტუდენტის სტატუსის შეწყვეტა

სტუდენტის სტატუსის შეწყვეტის საფუძველია:

- სტუდენტის სტატუსის 5 წელზე მეტი ხნით შეჩერება;
- აკადემიური მოუსწრებლობა, რაც გულისხმობს შესაბამისი GPA-ს შეუსრულებლობას;
- შესაბამისი საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამის დასრულება;
- პირადი განცხადება;
- საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული მიზნების მიუღწევლობა პროგრამაზე სწავლის (იგულისხმება ის დრო რომლის განმავლობაშიც სტუდენტს არ ჰქონდა სტატუსი შეჩერებული) 4 + 2 დამატებითი ორი წლის განმავლობაში;
- დისციპლინური კომისიის გადაწყვეტილება;
- სხვა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში მობილობის წესით გადასვლა;

სტუდენტის სტატუსის შეწყვეტის შესახებ სამართლებრივი აქტით გათვალისწინებული სამართლებრივი შედეგები დგება შესაბამისი ბრძანების გამოცემიდან 6 თვის შემდეგ. დროის ამ მონაკვეთში სტუდენტის სტატუსი ითვლება შეჩერებულად და სტუდენტი უფლებამოსილია ისარგებლოს მობილობის უფლებით, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც სტუდენტის სტატუსის შეწყვეტის საფუძველი შეუთავსებელია მიმღები დაწესებულების დებულებასთან.

სტუდენტის სტატუსის შეწყვეტის შემთხვევაში, მისი ხელახლა მოპოვება დასაშვებია კანონმდებლობით დადგენილი წესით.

3.3 სტუდენტის ინიციატივით ხელშეკრულების შეწყვეტა

სტუდენტის ინიციატივით ხელშეკრულების შეწყვეტას, რიგ შემთხვევაში მოჰყვება მის მიერ გადახდილი გადასახადის ნაწილის დაბრუნება, რაც დამოკიდებულია სტუდენტის მიერ სტატუსის შეწყვეტის შესახებ განცხადების დაწერის დროზე:

- სასწავლო წლის დაწყებამდე განცხადების დაწერის შემთხვევაში - ხელშეკრულებით გათვალისწინებული სწავლის წლიური საფასურის 2/3 თუ სწავლის საფასური გადახდილი აქვს სრულად;
- სასწავლო წლის დაწყებიდან 4 კვირის განმავლობაში განცხადების დაწერის შემთხვევაში - ხელშეკრულებით გათვალისწინებული სწავლის წლიური საფასურის ნახევარი თუ სწავლის საფასური გადახდილი აქვს სრულად;
- სასწავლო წლის დაწყებიდან 4 კვირის გასვლის შემდეგ განცხადების დაწერის შემთხვევაში, გადასახადი არ ანაზღაურდება.

სტუდენტებს, რომელთაც უნივერსიტეტი სტატუსს უწყვეტს დისციპლინური ნორმების დარღვევის გამო, გადასახადი არ უბრუნდება.

3.4 სტუდენტის სტატუსის აღდგენა

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 4 თებერვლის №10/ნ ბრძანების ძალაში შესვლამდე (ძალაშია 05.02.2010წ.), საქართველოს უნივერსიტეტიდან გარიცხული/ამორიცხული სტუდენტი განიხილება სტუდენტის სტატუსის შეჩერებულ პირად. სტუდენტი, გარიცხვიდან/ამორიცხვიდან 10 წლის ვადაში უფლებამოსილია მიმართოს დაწესებულებას სტატუსის აღდგენის თაობაზე ან ისარგებლოს მობილობის უფლებით, თუ გარიცხვის/ამორიცხვის საფუძველი არ არის ამ წესით დადგენილი სტუდენტის სტატუსის შეწყვეტის საფუძველი.

სტუდენტის სტატუსის აღდგენა დასაშვებია რექტორის აქტით დადგენილ ვადებში სწავლის საფასურის გადახდის და ამ დებულების 1.1.1 პუნქტით გათვალისწინებული დოკუმენტებისა და ერთიანი ეროვნული გამოცდების გავლის დამადასტურებელი სერტიფიკატის წარმოდგენის შემდეგ.

3.4.1 სტუდენტის სტატუსის აღდგენის წინაპირობაა:

- თუ სტატუსი შეუჩერდა ადმინისტრაციული რეგისტრაციის გაუვლელობის გამო და აღდგენაზე განცხადება შემოიტანა იმავე სასწავლო წელს, არსებული დავალიანების დაფარვის შემთხვევაში;

- თუ სტატუსი შეუჩერდა ადმინისტრაციული რეგისტრაციის გაუვლელობის გამო და აღდგენაზე განცხადება დაწერა მომდევნო სასწავლო წელს, სტუდენტმა უნდა დაფაროს არსებული დავალიანება და გადაიხადოს შესაბამისი სასწავლო წლის / სემესტრის საფასური;
- თუ სტატუსი შეუჩერდა აკადემიურ შევბუღებაში გასვლის გამო, ამ დებულებით განსაზღვრული ერთ-ერთი გარემოების არსებობისას; სტუდენტმა უნდა გადაიხადოს შესაბამისი სასწავლო წლის / სემესტრის საფასური თუ სტატუსი შეუჩერდა სასწავლო წლის / სემესტრის დაწყების შემდეგ;

სტუდენტის ჩარიცხვიდან 4 აკადემიური წლის განმავლობაში აღდგენის შემთხვევაში, სტუდენტსა და უნივერსიტეტს შორის ურთიერთობები წარიმართება მათ შორის სტუდენტის საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვისას გაფორმებული ხელშეკრულების შესაბამისად. სტუდენტის ჩარიცხვიდან 4 აკადემიური წლის გასვლის შემდეგ აღდგენის შემთხვევაში, უნივერსიტეტი იტოვებს უფლებას სტუდენტთან გააფორმოს დამატებითი ხელშეკრულება აღდგენის პერიოდისთვის დადგენილი პროგრამის საფასურის გათვალისწინებით.

უნივერსიტეტი არ აღუდგენს სტატუსს იმ სტუდენტს, რომლის სტატუსიც უნივერსიტეტის მიერ იქნა შეწყვეტილი ან შეჩერებული, თუ შეჩერების საფუძველი არსებული დებულებით განიხილება, როგორც შეწყვეტა.

სტუდენტის სტატუსის აღდგენა შესაძლებელია სტუდენტის სტატუსის შეჩერებიდან არაუმეტეს 5 წლის განმავლობაში. სტატუსის აღდგენის შემთხვევაში, სწავლის გაგრძელების სემესტრი/სასწავლო წელი, კრედიტების აღიარების კომისიის მოტივირებული გადაწყვეტილების საფუძველზე, შეიძლება განსხვავდებოდეს სწავლის შეჩერების სემესტრისგან/სასწავლო წლისგან.

3.5 შიდა მობილობა

სტუდენტთა შიდა მობილობა დასაშვებია ერთი სასწავლო წლის დასრულების შემდეგ (იგულისხმება ის დრო რომლის განმავლობაშიც სტუდენტს არ ჰქონდა სტატუსი შეჩერებული / შეწყვეტილი). ასეთ შემთხვევაში, სტუდენტს უფორმდება ახალი ხელშეკრულება მისი ჩარიცხვის პერიოდისათვის შესაბამისი პროგრამის გადასახადით. ასეთის არარსებობის შემთხვევაში, სტუდენტს გაუფორმდება ხელშეკრულება პროგრამის მიმდინარე გადასახადით.

სტუდენტის შიდა მობილობა დასაშვებია რექტორის ინდივიდუალურ-სამართლებრივი აქტით დადგენილ ვადებში და შესაბამისი პირობებით.

პროცედურა:

საქართველოს უნივერსიტეტის ერთი სკოლიდან / საგანმანათლებლო პროგრამიდან სხვა სკოლაში / საგანმანათლებლო პროგრამაზე გადასვლის მსურველი სტუდენტი მომდევნო სემესტრისთვის / სასწავლო წლისთვის რეგისტრაციის ვადის ამოწურვამდე განცხადებით მიმართავს რექტორს. განცხადებას განიხილავს სკოლის საბჭო, რომელშიც / რომლის საგანმანათლებლო პროგრამაზე გადასვლაც სურს, რომელიც შიდა მობილობის მიზანშეწონილად ცნობის შემთხვევაში შესაბამის შუამდგომლობას წარუდგენს უნივერსიტეტის რექტორს. ხელშეკრულების გაფორმებისა და ადმინისტრაციული რეგისტრაციის გავლის შემდეგ ქვეყნდება რექტორის აქტი, რის შემდეგაც სტუდენტმა სისტემაში „ჩემი UG“ რექტორის ინდივიდუალურ-სამართლებრივი აქტით განსაზღვრული რეგისტრაციის ვადის ამოწურვამდე უნდა გაიაროს აკადემიური რეგისტრაცია. სტუდენტის მიერ მოპოვებული კრედიტების აღიარებას უზრუნველყოფს კრედიტების აღიარების კომისია.

4. მიღებული განათლებისა და კრედიტების აღიარების წესი

4.1 საქართველოს უნივერსიტეტი აღიარებს ყველა აკრედიტებული უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ გაცემულ აკადემიურ ხარისხებს. საზღვარგარეთ გაცემული საგანმანათლებლო დოკუმენტების აღიარება რეგულირდება უმაღლესი განათლების შესახებ საქართველოს კანონის 50-ე მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად.

სხვა საგანმანათლებლო დაწესებულებაში სტუდენტის მიერ გავლილი სასწავლო კურსის საქართველოს უნივერსიტეტში შესაბამისი კურსის თავსებადობას უნივერსიტეტი ადგენს გავლილი კურსის სილაბუსების ანალიზის შედეგად. უნივერსიტეტის საგანმანათლებლო პროგრამის მიზნებსა და სწავლის შედეგებთან შესაბამისობის დადგენის შემთხვევაში, უნივერსიტეტი აღიარებს სტუდენტის მიერ დაგროვილ კრედიტებს. ასეთ

შემთხვევაში, სტუდენტმა სილაბუსებთან ერთად უნდა წარმოადგინოს ამონაწერი უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში ჩარიცხვის და სტატუსის შეჩერების / შეწყვეტის ბრძანებიდან; იმ შემთხვევაში, თუ ბრძანება სტუდენტის სტატუსის შეწყვეტის შესახებ შესულია ძალაში, მის მიერ გავლილი კრედიტების აღიარების საკითხი არ განიხილება.

უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის კრედიტები, რომელთა საფუძველზე განხორციელდა კვალიფიკაციის მინიჭება არ შეიძლება აღიარებულ იქნეს სხვა საგანმანათლებლო პროგრამის მიზნებისათვის, გარდა დიპლომირებული სპეციალისტის საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში მიღებული კრედიტების ბაკალავრიატის საგანმანათლებლო პროგრამის მიზნებისათვის აღიარებისა.

თუ სტუდენტის მიერ გავლილი კურსის კრედიტების რაოდენობა აღემატება უნივერსიტეტის შესაბამისი კურსის კრედიტების რაოდენობას, უნივერსიტეტი აღიარებს უნივერსიტეტის საგანმანათლებლო პროგრამით დადგენილი კრედიტების რაოდენობას, ხოლო თუ გავლილი კურსის კრედიტების რაოდენობა ნაკლებია უნივერსიტეტის შესაბამისი კურსის კრედიტებზე, გადაწყვეტილება შესაბამისობის შესახებ მიიღება სილაბუსების ანალიზის საფუძველზე.

თუ გავლილი კურსი არ არის კრედიტებით გაანგარიშებული, კურსის აღიარება ხდება შესაბამისი სილაბუსის ანალიზის საფუძველზე.

კურსის რამდენიმე შეფასების არსებობის შემთხვევაში, სტუდენტის მიერ გავლილ კურსს ენიჭება კრედიტების ჯამური რაოდენობა, მაგრამ არაუმეტეს უნივერსიტეტის საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებულისა, ხოლო სასწავლო კურსის არაერთჯერადი შეფასებისას, შეფასებების საშუალო არითმეტიკული.

5 ბალიანი შეფასების ან დიფერენცირებული ჩათვლის შემთხვევაში 100 ქულიან სისტემაზე გადაყვანა ხდება შემდეგი წესით:

ფრიადი (5) – 87 ქულა (B+)

კარგი (4) – 71 ქულა (C-)

დამაკმაყოფილებელი (3) – 51 ქულა (E)

არადიფერენცირებული ჩათვლის აღიარება ხდება პირობითი ქულის მინიჭებით, ყველა საგანში მიღებული ქულების საშუალო არითმეტიკულით.

თუ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება, საიდანაც გადმოდის სტუდენტი იყენებს კრედიტების მინიჭების ECTS-გან განსხვავებულ სისტემას, სტუდენტმა უნდა წარმოადგინოს ამ დაწესებულების მიერ გაცემული ოფიციალური დოკუმენტი, რომელშიც განმარტებული იქნება ამ სისტემის ECTS სისტემასთან შესაბამისობა. სტუდენტი ვალდებულია ასევე წარმოადგინოს საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ გაცემული ოფიციალური დოკუმენტი, რომელშიც მითითებული იქნება ინფორმაცია თითოეული სასწავლო კურსის მოცულობის შესახებ, კერძოდ, თუ რამდენი კვირის განმავლობაში სწავლობდა სტუდენტი და რამდენი საათი ეთმობოდა მას. თითოეულ სასწავლო კურსის საკონტაქტო საათებს, ემატება დამოუკიდებელი მუშაობის საათები (თუ ცნობილია, ხოლო თუ ცნობილი არ არის, საქართველოს უნივერსიტეტში, შესაბამისი საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში არსებული სასწავლო კურსების განსაზღვრული პროპორციის გათვალისწინებით, კომისიის მიერ დადგენილ კოეფიციენტზე გამრავლებით მიღებული საათები). საათების მიღებული რაოდენობა იყოფა საქართველოს უნივერსიტეტში დადგენილ, 1 კრედიტის მისაღებად საჭირო საათების რაოდენობაზე. მიღებული დაანგარიშებული არამთელი კრედიტები მრგვალდება მთელ რიცხვამდე.

საქართველოს უნივერსიტეტში, საქართველოს სხვა უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებიდან მობილობის ფარგლებში გადმოსული, ასევე საქართველოს უნივერსიტეტში აღდგენილი სტუდენტების კრედიტების აღიარებას უზრუნველყოფს კრედიტების აღიარების კომისია.

სტუდენტების კრედიტების აღიარებასთან დაკავშირებულ საჩივრებს განიხილავს რექტორი.

საქართველოს უნივერსიტეტში, სტუდენტთა საქმიანობის შესაფასებლად გამოიყენება ევროპული კრედიტების დაგროვებისა და ტრანსფერის სისტემა (ECTS). კრედიტი ეს არის ერთეული, რომელიც გამოხატავს სტუდენტის მიერ ერთი საგნის ასათვისებლად შესასრულებელი სამუშაოს მოცულობას, გამოხატულს დროით ერთეულში-

საათებში. კრედიტი აღნიშნავს სამუშაოს იმ რაოდენობას, რომელიც საჭიროა სასწავლო კურსის პროგრამით ამა თუ იმ სასწავლო კომპონენტის დასასრულებლად და სწავლის შედეგების მისაღწევად.

1 კრედიტი განისაზღვრება 25 საათით.

ეს დრო შეიძლება დაეთმოს:

- საკონტაქტო დრო
- სემინარი
- გამოცდისთვის მომზადება და ჩაბარება
- სტუდენტის დამოუკიდებელი მუშაობა
- პრაქტიკა
- პრეზენტაციების, რეფერატების მომზადება
- სხვა

4.2 უმაღლეს პროფესიულ პროგრამაზე დაგროვებული კრედიტების აღიარება

პროფესიული უმაღლესი განათლების საფეხურზე 2010-2011 სასწავლო წლის ჩათვლით მიღებული სტუდენტებისათვის სტატუსის მინიჭება, მათი სასწავლო წელზე/სემესტრზე რეგისტრაცია, ასევე მათთვის სტუდენტის სტატუსის შეჩერება/შეწყვეტა, გადაყვანის წესით ჩარიცხვა, კანონმდებლობით დადგენილი მოთხოვნების გათვალისწინებით, საგანმანათლებლო პროგრამის სპეციფიურობის გათვალისწინებით ხორციელდება ამ დებულებით საბაკალავრო სწავლების სტუდენტებისათვის დადგენილი წესით.

პირები, რომლებიც საქართველოს უნივერსიტეტში კანონმდებლობით დადგენილი წესით ჩარიცხნენ პროფესიულ უმაღლეს საგანმანათლებლო პროგრამაზე, შესაბამისი პროგრამის ათვისების შემდეგ მიიღებენ დიპლომირებული სპეციალისტის კვალიფიკაციის დამადასტურებელ დიპლომს.

დაუშვებელია 2010-2011 სასწავლო წლის შემდეგ პროფესიული უმაღლესი განათლების (დიპლომირებული სპეციალისტის) საგანმანათლებლო პროგრამაზე სტუდენტების მიღება.

5. ღირსების კოდექსი

ღირსების კოდექსი ასახავს საქართველოს უნივერსიტეტის სტუდენტებისა და პროფესორ-მასწავლებლების უნივერსიტეტში ღირსეული ქცევის ერთობლივად შემუშავებულ წესებსა და ნორმებს.

5.1 პრეამბულა

უნივერსიტეტი თავისუფალ საზოგადოებაში უნდა ემსახუროდეს სიმართლისა და ცოდნის ძიებას, რაც უნდა განხორციელდეს ჯანსაღი კამათის, განსჯისა და გახსნილი, ღია ურთიერთობების საფუძველზე. იმისათვის, რომ მიღწეულ იქნას ეს მიზნები, აუცილებელია უნივერსიტეტის წესებისადმი დამორჩილება.

უნივერსიტეტის ყველა წევრი უნდა მოიქცეს ეთიკის ნორმების დაცვით, პატივს სცემდეს სხვების ადამიანურ ღირსებას და თავს იკავებდეს სხვისთვის ზიანის მომტანი საქციელისგან: ძალადობა, ქურდობა, სიტყვიერი და ფიზიკური შეურაცხყოფისაგან. უნივერსიტეტის ყველა წევრი ვალდებულია დაემორჩილოს კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს და ამ დებულებას. უნივერსიტეტის წევრებმა პატივი უნდა სცენ ერთმანეთის ინტელექტუალურ საკუთრებას და აღიარონ თითოეული სტუდენტის უფლება მიიღოს განათლება ძალადობის, დისკრიმინაციისა და დაშინებისგან თავისუფალ გარემოში.

ამ დოკუმენტში აღწერილია აკრძალული, დაუშვებელი ყოფაქცევა, შესაბამისი სანქციები და უნივერსიტეტის მხრივ რეაგირების მეთოდები და წესები. სტუდენტი ვალდებულია გაეცნოს ამ თავში მოყვანილ ნორმებს.

სტუდენტურ დისციპლინაზე პასუხისმგებელი პირი

საბოლოო პასუხისმგებელი სტუდენტურ დისციპლინაზე არის უნივერსიტეტის ადმინისტრაცია (სკოლის დირექტორი, სასწავლო პროცესის ადმინისტრირების სამსახური, პრორექტორი სასწავლო დარგში და სხვა). ამავე დროს დისციპლინური პასუხისმგებლობა დელეგირებულია პროფესორ-მასწავლებლებზე, სტუდენტთა თვითმმართველ კლუბებსა და უნივერსიტეტის სხვა თანამშრომლებზეც.

ამ დებულების და კანონის დარღვევისთვის დგება სტუდენტის პასუხისმგებლობის საკითხი როგორც უნივერსიტეტის, ასევე ხელისუფლების წინაშე.

უნივერსიტეტის მიერ დისციპლინის უზრუნველყოფის საფუძველი

უნივერსიტეტის მიერ სტუდენტთა მხრივ დისციპლინური ნორმების დაცვის უზრუნველყოფის ძირითადი საფუძველია:

1. დისციპლინის არ დამრღვევი სტუდენტის პიროვნული, საგანმანათლებლო და სოციალური განვითარების უფლების დაცვა და უზრუნველყოფა;
2. უნივერსიტეტის სათანადოდ ფუნქციონირების უზრუნველყოფა.

5.2 აკადემიური ღირსება და კეთილსინდისიერება

უნივერსიტეტში პროფესიის დაუფლებისას, სტუდენტს სწავლასთან ერთად მოეთხოვება აკადემიური ღირსებისა და კეთილსინდისიერების პრინციპების დაცვა.

ქვემოთ მოცემულია როგორც აღნიშნული ტერმინის - აკადემიური ღირსება და კეთილსინდისიერება – განმარტება, ასევე ის ძირითადი დებულებები, რომლებსაც საქართველოს უნივერსიტეტის აკადემიური ღირსებისა და კეთილსინდისიერების პოლიტიკა ეფუძნება.

რას ნიშნავს აკადემიური ღირსება და კეთილსინდისიერება და რატომაა ის მნიშვნელოვანი?

- 1) სტუდენტი შემოდის უნივერსიტეტში, რათა ისწავლოს და პროფესიულად გაიზარდოს;
- 2) აკადემიური დავალება თუ სამუშაო, რომელიც ეძლევა სტუდენტს შესასრულებლად, ემსახურება სწორედ აღნიშნულ მიზანს;
- 3) ნაშრომის და დავალების შეფასება აჩვენებს რამდენად სრულყოფილად იქნა მიზანი განხორციელებული;
- 4) ამგვარად, სტუდენტის ნაშრომი, ნიშნები და შეფასება, უნდა იყოს შედეგი აღნიშნული მიმართულებით მის მიერ პირადად გაწეული შრომისა, რომელიც მიზნად ისახავს მის განსწავლასა და პროფესიულ ზრდას.

შესაბამისად, მიუღებელია აკადემიური დავალებისა თუ სამუშაოს შესრულების ყველა სხვა გზა, რომელიც არ ეფუძნება გაწეულ საკუთარ შრომასა და მეცადინეობას.

აკადემიური ღირსება და კეთილსინდისიერება ნიშნავს ზემოაღნიშნული ძირეული დებულებების გაგებასა და გათავისებებას, რადგანაც, სხვა გზით საუნივერსიტეტო სწავლება-განათლება ვერ შედგება.

სწავლების საფუძველია ურთიერთნდობა და პატივისცემა, რომელიც აღმოცენდება სწავლების პროცესში სტუდენტსა და პროფესორ-მასწავლებელს შორის. შესაბამისად, აკადემიური ქცევის წესების დარღვევა, მაგ.; გადაწერა, ან „შპარგალკის“ გამოყენება - უბრალოდ კანონსაწინააღმდეგო საქციელი როდია, ესაა მთელი სასწავლო პროცესის უარყოფა.

რას ნიშნავს პლაგიატი?

ჩამოვყალიბოთ უნივერსიტეტის ხედვა წერიითი სამუშაოს შესახებ:

ყოველგვარი წერიითი დავალება საკუთარი სიტყვებით სტუდენტის აზრის გამოხატვის საშუალება უნდა იყოს.

ეს გულისხმობს იმას, რომ წერიითი დავალება, ის იწერება ლექციაზე, თუ უნივერსიტეტის გარეთ, უნდა შესრულდეს სტუდენტის საკუთარი სიტყვებით და უნდა გამოხატავდეს მის საკუთარ ნააზრევს. თუ სტუდენტს სურს გამოიყენოს ციტირების მიზნით სხვისი ნააზრევი ან გამონათქვამი, მან უნდა გააკეთოს შესაბამისი აღნიშვნები. სხვისი გამონათქვამის ციტირება, თუ ეს ციტირება კეთილსინდისიერადაა გაკეთებული (ანუ გამოყენებულია შესაბამისი აღნიშვნები და მითითებები), რიგ შემთხვევებში ფრიად სასარგებლოცაა.

ყველა სხვა შემთხვევაში ეს აღიქმება, როგორც აკადემიური ქცევის წესების დარღვევა, ანუ პლაგიატი.

პლაგიატი ნიშნავს: სხვა პიროვნების ნაშრომის, ნააზრევის ან იდეის მითვისებას. პლაგიატი, იქნება ეს სტამბური წესით გამოცემული ნაშრომიდან, საარქივო მასალებიდან, ხელნაწერიდან, თუ ინტერნეტის საიტებიდან, სასტიკად აკრძალულია და მკაცრად ისჯება: სტუდენტი იღებს შეფასებას «0»-ს, თუნდაც ავტორის მითითების გარეშე გამოყენებული მასალა იყოს მხოლოდ რამდენიმე ზეწარი.

პლაგიატად განიხილება შემთხვევა, როდესაც სტუდენტი შესაბამისი მითითების გარეშე სხვის ნააზრევს საკუთარი სიტყვებით გადმოსცემს, ანუ აკეთებს ავტორის იდეის ან ნააზრევის პერიფრაზს.

საქართველოს უნივერსიტეტის სტუდენტები გადიან სპეციალურ საგანს “აკადემიური წერა”, რომელიც სხვა მრავალ საკითხთან ერთად ასწავლის მათ, თუ როგორ ავიცილოთ უნებური პლაგიატი, ანუ როგორ მოვახდინოთ სხვისი გამონათქვამის ციტირება.

აკადემიურ საზოგადოებაში მოქმედი ქცევის წესებისა და აკადემიური კეთილსინდისიერების ნორმების დარღვევა ფასდება როგორც უღირსი აკადემიური საქციელი.

უღირსი აკადემიური საქციელი მოიცავს ქვემოთ ჩამოთვლილ ქცევებს, თუმცა არ ამოიწურება აღნიშნული ჩამონათვალით:

- გადაწერა და ნებადაურთავი მასალების გამოყენება

ტესტი უჩვენებს, რამდენად კარგად აითვისა სტუდენტმა მასალა. ლექტორის მხრივ მასალის, სახელმძღვანელოს, წიგნების, კალკულატორის, კომპიუტერის და სხვ. გამოყენების სპეციალური უფლების არქონის შემთხვევაში, სტუდენტმა მხოლოდ საკუთარი ძალებით უნდა შეასრულოს საგამოცდო დავალება. ეს გულისხმობს იმას, რომ გამოკითხვის მიმდინარეობის დროს, მან დახმარება არ უნდა გაუწიოს სხვა პირებს და არც თვითონ მიიღოს დახმარება სხვებისაგან. წინააღმდეგ შემთხვევაში სტუდენტი მოიხსნება გამოცდიდან და ის მიიღებს შეფასებას «0».

- გამოცდების დროს გადაწერის მიზნით, ნებადართავი მასალების გამოყენება (როგორცაა: «შპარგალკა», კონსპექტები და ა.შ.)

მსგავს საექციელში შემჩნეული სტუდენტი, დაუყოვნებლივ ტოვებს აუდიტორიას და იღებს შეფასებას «0», თუნდაც «შპარგალკის» გამოყენებამდე მას ფაქტობრივად დასრულებული ჰქონდეს ნაშრომი. გამოცდაზე წიგნების, ან სხვა მასალის გამოყენება არ ისჯება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ საამისოდ ლექტორის და სკოლის დირექტორის მიერ მიცემულია სპეციალური ნებართვა, და, შესაბამისად, სტუდენტი მოქმედებს საჯაროდ და არა ფარულად.

- კოლექტიური საშინაო დავალების შესრულებისას აკადემიური კეთილსინდისიერების დარღვევა

ხანდახან პროფესორ-მასწავლებლები ავალბენ ჯგუფს, კლასს, კურსს კოლექტიურ საშინაო დავალებას: პროექტს, რეფერატს და სხვა. კოლექტიურად მუშაობა საშინაო დავალებაზე არ ნიშნავს იმას, რომ უნდა დაირღვეს აკადემიური ღირსების წესები. ანუ ამ დროს არ უნდა მოხდეს კოლექტივის ერთი ან რამდენიმე წევრის მიერ სხვა წევრების ნამუშევრის მითვისება. ვინაიდან, სტუდენტის პროფესიული ზრდისთვის, საჭიროა, რომ საშინაო დავალება, რომელსაც მას პროფესორი აძლევს, იყოს მისი შრომის, მეცადინეობის, გამოთვლების, გააზრებისა და სხვ. შედეგი.

- საგამოცდო საკითხების წინასწარი ცოდნა გამოცდების ჩატარებამდე

იმ შემთხვევაში, თუ, რაიმე მიზეზის გამო, სტუდენტმა შემთხვევით გაიგო საგამოცდო საკითხების შესახებ, ის ვალდებულია დაუყოვნებლივ აცნობოს ეს სკოლის დირექტორს და საგნის კურატორს.

6. დისციპლინური კოდექსი

უნივერსიტეტში სწავლის პერიოდში სტუდენტებმა მუდმივად უნდა იხელმძღვანელონ დისციპლინური კოდექსით. კოდექსი არ არის დაწერილი იურიდიული დეტალებისა და კონკრეტიკის დაცვით და მის მიზანს არ წარმოადგენს დაუშვებელი, მიუღებელი ნორმების ამომწურავად ჩამოთვლა, ან განმარტება.

სტუდენტი ვალდებულია მაქსიმალურად აირიდოს თავიდან ყოველგვარი დაპირისპირება უნივერსიტეტში. მას ეკრძალება ნებისმიერი სახის შუღლის გაღვივება სტუდენტებს და უნივერსიტეტის თანამშრომლებს შორის, ასევე კონფლიქტის პროვოცირება. სტუდენტი ვალდებულია უმოკლეს ვადაში მივიდეს კონსენსუსამდე სტუდენტ(ებ)თან წარმოშობილი გაუგებრობის ან კონფლიქტის დროს, წინააღმდეგ შემთხვევაში უნივერსიტეტის ადმინისტრაცია იტოვებს უფლებას ჩაერიოს ისევ სტუდენტების ინტერესების გათვალისწინებით.

უნივერსიტეტი იღებს თავის თავზე უფლებას და პასუხისმგებლობას დაიცვას უნივერსიტეტში მყოფი სტუდენტების უსაფრთხოება და კეთილდღეობა. აქედან გამომდინარე, უნივერსიტეტის ადმინისტრაცია მოვალეა მიიღოს ზომები ისეთი სტუდენტების ქმედებების აღსაკვეთად, რომლებიც საფრთხის ქვეშ აყენებენ უნივერსიტეტის ტერიტორიაზე მყოფთა უსაფრთხოებას და ხელს უშლიან სტუდენტებს ისწავლონ და იმუშაონ მშვიდ და წყნარ გარემოში.

უნივერსიტეტის მოთხოვნები

სტუდენტი UG-ში სწავლის პერიოდში უნდა იცავდეს საუნივერსიტეტო ცხოვრების წესს, უნივერსიტეტის ღირსების კოდექსს.

დისციპლინური ზომების გამოყენება

უნივერსიტეტის დებულების დარღვევა სტუდენტს აყენებს დისციპლინური ზომების გამოყენების საფრთხის წინაშე.

უნივერსიტეტის ცხოვრების წესების დარღვევის შემთხვევაში უნივერსიტეტის პროფესორ-მასწავლებლები და თანამშრომლები უფლებამოსილი არიან დააყენონ კანონის დამრღვევი სტუდენტის პასუხისმგებლობის საკითხი უნივერსიტეტის ადმინისტრაციის დონეზე. უნივერსიტეტის ადმინისტრაცია კი უფლებამოსილია, განახორციელოს სხვადასხვა სანქციები (სტუდენტის სტატუსის შეწყვეტის ჩათვლით) დებულების დამრღვევი სტუდენტის მიმართ და, საჭიროების შემთხვევაში, დააყენოს ასეთი სტუდენტის პასუხისმგებლობის საკითხი უნივერსიტეტის ფარგლებს მიღმა – სახელმწიფოს სათანადო ორგანოების წინაშე.

სასწავლო პროცესიდან სტუდენტის დროებით ჩამოშორება

უნივერსიტეტის ადმინისტრაციას ან მის წარმომადგენელს შეუძლია სტუდენტის გამოთიშვა სასწავლო პროცესიდან დისციპლინური ან სასამართლო გადაწყვეტილების მიღებამდე.

აუდიტორიაში ქცევის წესები

აუდიტორიაში სტუდენტის ყოფაქცევაზე პასუხისმგებელია პროფესორ-მასწავლებელი. თუ სტუდენტი დაარღვევს წესრიგს და ამით ხელს შეუშლის ლექციის მსვლელობას, კურსის ხელმძღვანელი უფლებამოსილია მოსთხოვოს სტუდენტს აუდიტორიის დატოვება. ასეთი საქციელის კვლავ განმეორების შემთხვევაში, სტუდენტი შესაძლებელია დადგეს სტატუსის შეწყვეტის საფრთხის წინაშე.

უნივერსიტეტში ქცევის ზოგადი წესები

უნივერსიტეტის ტერიტორიაზე სიგარეტის მოწევა სასტიკად აკრძალულია. დამრღვევი დაჯარიმდება. ჯარიმის ოდენობა ყოველი სასწავლო წლის დაწყებამდე დგინდება რექტორის აქტით.

ალკოჰოლური სასმელებისა და ნარკოტიკული ნივთიერებების გაყიდვა ან მოხმარება უნივერსიტეტის ტერიტორიაზე სასტიკად აკრძალულია.

ისეთ ღონისძიებებზე, როგორცაა შობა-ახალი წლის, დამოუკიდებლობის დღის, ან სტუდენტთა დაბადების დღეების აღნიშვნა, ალკოჰოლური სასმელების მოხმარება დასაშვებია სტუდენტურ საქმეთა ცენტრის პრეზიდენტთან წინასწარი შეთანხმებით სიმბოლური, მკაცრად რეგლამენტირებული ოდენობით.

მობილური ტელეფონებით სარგებლობა ბიბლიოთეკაში, აუდიტორიაში გამოცდის ან ლექციების მსვლელობის დროს სასტიკად აკრძალულია. თუ თქვენ ელოდებით ზარს ან გსურთ დაურეკოთ ვინმეს, ისარგებლეთ შესვენებებით.

6.1 უნივერსიტეტში ისჯება:

- 6.1.1 უნივერსიტეტის ღირსების კოდექსის დარღვევა;
- 6.1.2 უნივერსიტეტში მოქმედი ნორმების დარღვევა;
- 6.1.3 სწავლის პროცესისათვის – ლექციებისა და სემინარებისათვის – ხელის შეშლა, ხმაური, საუბარი;
- 6.1.4 ლექციებზე მობილური ტელეფონების გამოყენება;
- 6.1.5 უფლებამოსილი პერსონალის მითითებისადმი დაუმორჩილებლობა და მიცემული დავალება-განკარგულებების შეუსრულებლობა;
- 6.1.6 სიტყვიერი შეურაცხყოფა და ცილისწამება;
- 6.1.7 ნებართვის გარეშე შესვლა უნივერსიტეტის შენობაში;
- 6.1.8 უნივერსიტეტის საკუთრების გამოყენება სათანადო უფლების გარეშე (კომპიუტერის, მონაცემთა ბაზის და ხმოვანი საკომუნიკაციო საშუალებების ჩათვლით);
- 6.1.9 უნივერსიტეტის ტერიტორიაზე სიგარეტის მოწევა;
- 6.1.10 გამიზნულად ან დაუდევრობის მიზეზით ადამიანის უსაფრთხოების და უნივერსიტეტის საკუთრების საფრთხეში ჩაგდება;
- 6.1.11 განგებ ცრუ ინფორმაციის მიწოდება (ხანძრის, აფეთქების, ცრუ მუქარის ან სხვა მოვლენის შესახებ);
- 6.1.12 უნივერსიტეტის, უნივერსიტეტის პერსონალის ღირსების, საქმიანი რეპუტაციის შემლახავი, წინასწარი შეცნობით ცრუ ინფორმაციის გავრცელება;
- 6.1.13 კედლების დაზიანება (მაგ. დახატვა, დაზინძურება);
- 6.1.14 ავეჯის, ტექნიკის თუ სხვა სახის საუნივერსიტეტო საკუთრების დაზიანება;

6.2 ქვემოთ ჩამოთვლილ საქციელზე შემჩნეულ სტუდენტებს შეუწყდებათ სტატუსი:

- 6.2.1 ფალსიფიცირება, უნივერსიტეტის დოკუმენტების ან ჩანაწერების გადაკეთება და შეცვლა;
- 6.2.2 იარაღის (ცეცხლსასროლი, ცივი) ტარება, საშიში ნივთიერებების, ასაფეთქებლების თან ქონა;
- 6.2.3 სექსუალური ძალადობა;
- 6.2.4 ნარკოტიკული ნივთიერების და ალკოჰოლის მოხმარება-გავრცელება;
- 6.2.5 უნივერსიტეტის საკუთრების, მათ შორის საუნივერსიტეტო ტექნიკის მოპარვა-მიტაცება;
- 6.2.6 უნივერსიტეტში ქურდობა-ყაჩაღობა;
- 6.2.7 ცრუმოწმობა.
- 6.2.8 უხეში და არაეთიკური დამოკიდებულება, ძალადობა, ძალის გამოყენების მუქარა, შეურაცხყოფა სტუდენტების, აკადემიური, ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალის მიმართ;

6.2.9 შეფასების მიღების მდგელობა პერსონალზე მუქართ, ფიზიკური ან ფსიქოლოგიური ზემოქმედებით, თაღლითობით თუ სხვა დაუშვებელი ხერხებითა და ქმედებით.

6.3 დისციპლინური დევნა

სტუდენტის მიმართ დისციპლინური დევნა უნდა იყოს დისციპლინური გადაცდომის პროპორციული და შეიძლება განხორციელდეს მხოლოდ უნივერსიტეტის დებულებით გათვალისწინებულ შემთხვევებში და წესით, სამართლიანი პროცედურის გზით;

დისციპლინური დევნის წამოწყება არ უნდა ზღუდავდეს სტუდენტის უფლებას მონაწილეობა მიიღოს სასწავლო პროცესში, გარდა ამ დებულებით გათვალისწინებული შემთხვევებისა, როცა ეს საფრთხეს უქმნის სხვისი უფლებების, ჯანმრთელობის, უნივერსიტეტის საკუთრებისა და უსაფრთხოების დაცვას.

სტუდენტის დისციპლინური დევნის საკითხს წყვეტს უნივერსიტეტის დისციპლინურ საკითხთა კომისია.

კომისიის მუდმივი წევრები არიან პრორექტორი სასწავლო დარგში, სასწავლო პროცესის ადმინისტრირების სამსახურის უფროსი, იურისტი, სტუდენტურ საქმეთა ცენტრის პრეზიდენტი. კომისიის ცვლადი წევრები არიან სკოლის დირექტორი ან/და აკადემიური თანამდებობის პირი (იმ სკოლის, რომლის სტუდენტის საკითხიც განიხილება); იმ სტუდენტური თვითმმართველი კლუბის პრეზიდენტი, რომლის წევრის საკითხიც განიხილება. თუ სტუდენტი არ არის გაწევრიანებული კლუბში, კომისიას ესწრება მაღალი კურსის რეიტინგული სტუდენტი.

დისციპლინური დევნის განხორციელებისას სტუდენტს უფლება აქვს:

- ა) მიიღოს შეტყობინება მის მიმართ დისციპლინური დევნის დაწყების შესახებ;
- ბ) დაესწროს დისციპლინური დევნის საკითხის განხილვას და ისარგებლოს დაცვის უფლებით;
- გ) მიაწოდოს კომისიას მის ხელთ არსებული ინფორმაცია და მტკიცებულებები;
- დ) მონაწილეობა მიიღოს კომისიის მიერ მოპოვებული მტკიცებულებების გამოკვლევაში;

დისციპლინური დევნის საკითხის განხილვისას მტკიცების ტვირთი აწევს ბრალდების მხარეს, დისციპლინური დევნის განხორციელების შესახებ გადაწყვეტილება უნდა იყოს დასაბუთებული და ემყარებოდეს სათანადო წესით მოპოვებულ და შესწავლილ მტკიცებულებებს.

დისციპლინური კომისია, მოპოვებული მასალების შესწავლის, სტუდენტის არგუმენტების მოსმენის შემდეგ, იღებს გადაწყვეტილებას სტუდენტის მიმართ დისციპლინური სახდელის შეფარდების შესახებ.

6.4 სანქციები

- გაფრთხილება;
- წერილობითი საყვედური;
- ფულადი ჯარიმა;
- სასწავლო პროცესიდან დროებით დროებით ჩამოშორება;
- სტუდენტის სტატუსის შეწყვეტა.

7 სასწავლო პროცესის ორგანიზება

7.1 სწავლის ხანგრძლივობა

საბაკალავრო სწავლების პროგრამით განსაზღვრული ვადაა 4 წელი, ანუ 8 სემესტრი;

საბაკალავრო სწავლება შეიძლება გახანგრძლივდეს, თუ სტუდენტმა ვერ ჩააბარა რომელიმე საგანი და მას მოუწია დამატებით სემესტრზე / სასწავლო წელზე რეგისტრაცია;

საგანამანათლებლო პროგრამით და ამ დებულებით განსაზღვრულ საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლის ვადებში შესაბამისი შედეგების მიუღწევლობა წარმოადგენს სტუდენტის სტატუსის შეწყვეტის საფუძველს, თუ რექტორის ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით არ იქნა მიღებული გადაწყვეტილება სწავლის ვადის გაგრძელების შესახებ. რექტორის აქტის საფუძველია შესაბამისი სკოლის საბჭოს მიერ საკითხის განხილვა, სწავლის ვადის გაგრძელების დასაბუთებული გადაწყვეტილებით მიზანშეწონილად ცნობა. სკოლის დირექტორი, სკოლის საბჭოს შესაბამისი გადაწყვეტილების საფუძველზე მიმართავს რექტორს შუამდგომლობით.

სწავლის გახანგრძლივებასაც თავისი ვადა აქვს. უნივერსიტეტში საბაკალავრო პროგრამებზე სწავლის მაქსიმალური ვადაა 6 წელი;

7.2 სალექციო დრო

ლექციის ხანგრძლივობა

უნივერსიტეტის სასწავლო დღე იყოფა ლექციებად. ლექცია შედგება რამდენიმე (ორი, სამი ან ოთხი) ნაწილისაგან (თეორიული ნაწილი, პრაქტიკული-სემინარი), თითოეული ნაწილის ხანგრძლივობა - 60 წუთი, ანუ ერთი ასტრონომიული საათია (აქედან 50 წუთი საკუთრივ ლექცია და 10 წუთი შესვენება).

I ლექცია:

I საათი $9^{00} - 09^{50}$

შესვენება $09^{50} - 10^{00}$

II საათი $10^{00} - 10^{50}$

შესვენება $10^{50} - 11^{00}$

III საათი $11^{00} - 11^{50}$

დიდი შესვენება $11^{50} - 12^{10}$

II ლექცია

IV საათი $12^{10} - 13^{00}$

შესვენება $13^{00} - 13^{10}$

V საათი $13^{10} - 14^{00}$

შესვენება $14^{00} - 14^{10}$

VI საათი $14^{10} - 15^{00}$

დიდი შესვენება $15^{00} - 15^{20}$

III ლექცია

VII საათი - $15^{20} - 16^{10}$

შესვენება $16^{10} - 16^{20}$

VIII საათი $16^{20} - 17^{10}$

შესვენება $17^{10} - 17^{20}$

IX საათი $17^{20} - 18^{10}$

განსაკუთრებულ შემთხვევებში III-IV კურსელებს ლექცია შეიძლება დაენიშნოთ 19:00 საათზე.

7.3 სასწავლო სემესტრი

სასწავლო კვირა	განმარტება
1	I ლექცია
2	II ლექცია, I ქვიზი
3	III ლექცია, II ქვიზი
4	IV ლექცია, III ქვიზი
5	V ლექცია, IV ქვიზი
6	I შუალედური გამოცდები
7	VI ლექცია, შუალედურების აღდგენა
8	VII ლექცია, V ქვიზი
9	VIII ლექცია, VI ქვიზი
10	IX ლექცია, VII ქვიზი
11	X ლექცია, VIII ქვიზი
12	II შუალედური გამოცდები
13	XI ლექცია, შუალედურების აღდგენა
14	XII ლექცია, IX ქვიზი, წერითი რეფერატების ჩაბარება
15	XIII ლექცია, X ქვიზი
16	ფინალური გამოცდები
17	რეფერატების პრეზენტაცია
18	ფინალურების აღდგენა
19	ფინალურების აღდგენა

ლექტორი ლექციის როგორც თეორიულ, ისე სასემინარო-პრაქტიკული ნაწილის განაყოფებში დროს ანაწილებს თავისი შეხედულებებისამებრ.

7.4 სტუდენტთა რაოდენობა ჯგუფში

საქართველოს უნივერსიტეტში სტუდენტები იყოფიან 25 ან 50-იან ჯგუფებად. სტუდენტთა მინიმალური რაოდენობა ჯგუფში არის 10. 10-ზე ნაკლების დარეგისტრირების შემთხვევაში, უნივერსიტეტი იტოვებს უფლებას არ გახსნას ჯგუფი.

7.5 სტუდენტთა სემესტრული დატვირთვა

საქართველოს უნივერსიტეტში სტუდენტის სემესტრული დატვირთვა მოიცავს საშუალოდ 30 კრედიტს, ხოლო აკადემიური წლის განმავლობაში საშუალოდ 60 კრედიტს. სტუდენტი სემესტრის განმავლობაში უნდა დარეგისტრირდეს საშუალოდ 30 კრედიტზე (არანაკლებ 15 კრედიტისა, გარდა დამამთავრებელი კურსის სტუდენტებისა), შესაბამისად სასწავლო წლის განმავლობაში - 60 კრედიტზე. სასწავლო პროგრამის ან/და სტუდენტის ინდივიდუალური სასწავლო პროგრამის თავისებურებების გათვალისწინებით, დასაშვებია სტუდენტის დატვირთვა იყოს 60 კრედიტზე ნაკლები ან მეტი, მაგრამ არაუმეტეს წელიწადში 75 კრედიტისა.

საქართველოს უნივერსიტეტში ერთი და იგივე შინაარსის საგანი ყველა პროგრამის სტუდენტისათვის მოიცავს თანაბარი რაოდენობის კრედიტებს.

7.6 უქმე დღეები და არდადეგები

უქმე დღეები:

საქართველოს უნივერსიტეტში სასწავლო პროცესი არ მიმდინარეობს მხოლოდ შემდეგ უქმე დღეებში:

მარიამობას - 28 აგვისტოს;

გიორგობას - 23 ნოემბერს;

დამოუკიდებლობის დღეს - 26 მაისს;

ახალი წლის დღეებში 30 დეკემბრიდან 7 იანვრის ჩათვლით.

არდადეგები:

სტუდენტებს არდადეგები აქვთ:

საახალწლოდ, 30 დეკემბრიდან 7 იანვრის ჩათვლით; ვინაიდან ზამთრის არდადეგებზე პირველ და მაღალკურსელთა დასვენების დღეების რაოდენობა განსხვავდება, დეტალური ინფორმაციის მოძიება შესაძლებელია შესაბამისი წლის აკადემიურ კალენდარში.

აღდგომის კვირა - აღდგომის წინა სამშაბათიდან ორშაბათის ჩათვლით;

ზაფხულში - ივნის-აგვისტოში, თუ არ იღებენ ზაფხულის სემესტრს; ზაფხულის სემესტრის აღების შემთხვევაში კი მხოლოდ აგვისტოში.

ვინაიდან I კურსელები, როგორც წესი გვიან იწყებენ სასწავლო სემესტრს, ისინი ვერ ასწრებენ სემესტრის დამთავრებას დეკემბრის ბოლოს. ამიტომ მათ სწავლა განუახლებათ 7 იანვრის მომდევნო ორშაბათიდან.

7.7 ზაფხულის სემესტრი

ზაფხულის სემესტრი მიმდინარეობს ივნის-ივლისში. ზაფხულის სემესტრზე სტუდენტი რეგისტრირდება ჩაგდებული საგნ(ებ)ის აღსადგენად ან GPA-ის გამოსასწორებლად. იმ შემთხვევაში, თუ სტუდენტი არის დამამთავრებელ კურსზე, მას შეუძლია ზაფხულის სემესტრში დარეგისტრირდეს სხვა, ჯერ არ გავლილ საგნებზეც.

ზაფხულის სემესტრის დროს სტუდენტს შეუძლია არაუმეტეს 18 კრედიტის აღება (მაგრამ არაუმეტეს სასწავლო წლის განმავლობაში/სემესტრში სტუდენტის სასწავლო დატვირთვის ზღვრული ოდენობისა).

ზაფხულის სემესტრში კრედიტის ღირებულებას რექტორის ინდივიდუალურ-სამართლებრივი აქტით ადგენს ადმინისტრაცია.

სტუდენტებს შეუძლიათ შეუერთდნენ სხვადასხვა კურსებსა და პროგრამებს, რომლებიც მუშაობენ უნივერსიტეტში ივნის-ივლისის განმავლობაში და რომელთა წარმატებით დასრულების შემდეგ გაიცემა სერთიფიკატი.

7.8 ლექციებზე დასწრება

საბაკალავრო სწავლების სტუდენტებს ლექციებზე 100% დასწრებისათვის სემესტრის განმავლობაში ენიჭებათ 6 ქულა (შესაბამისად, 50% დასწრებისთვის – 3 ქულა და ა.შ.). ამასთან, თუ ისინი გააცდენენ ლექციას, ვერ შეძლებენ საგანში ყოველკვირეული შეფასების მიღებას, რომელიც აღდგენას არ ექვემდებარება. ყოველკვირეული შეფასებით დაგროვილი ქულები კი შეადგენს სტუდენტის საერთო შეფასების 18%-ს.

IV კურსის საბაკალავრო სწავლების სტუდენტებს, რომელთაც თითოეული საგნის შეფასებაში მიღებული აქვთ 90 ქულა ან მეტი, შეუძლიათ ლექციებიდან (არა უმეტეს ორ საგანში) მთლიანად, ან ნაწილობრივ დათხოვნა, განცხადების დაწერისა და შესაბამისი სკოლის დირექტორთან და საგნის ლექტორთან შეთანხმების შემდეგ. ასეთ შემთხვევაში მათ უფლება ეძლევათ ყოველკვირეული დავალებების და დასწრების ქულები მოიპოვონ სკოლის სამეცნიერო მუშაობაში მიღებულ მონაწილეობაში. შეფასების სისტემას სკოლის დირექტორის წარდგინების საფუძველზე ამტკიცებს აკადემიური საბჭო.

7.9 ლექტორის და კურსის შეფასება

ლექტორისა და კურსის შეფასება უნივერსიტეტში ხდება, როგორც ადმინისტრაციის, ისე სტუდენტთა მხრიდან. სემესტრის ბოლოს სტუდენტები ავსებენ კურსისა და ლექტორის შეფასების კითხვარს.

8 გამოცდები

გამოცდა წარმოადგენს სტუდენტის ცოდნის შეფასების ინსტრუმენტს. გამოცდამ უნდა აჩვენოს, თუ რამდენად კარგად აითვისა სტუდენტმა შესაბამისი კურსი.

გამოცდის სახეები:

ცალკეული კურსების გამოცდების ფორმას და მოცულობას ადგენს საგნის კურატორი.

უნივერსიტეტში გამოცდა არის წერითი, თუმცა ზოგ შემთხვევაში საგნის სპეციფიკიდან გამომდინარე, გამოცდა შეიძლება შეიცავდეს ზეპირ ან პრაქტიკულ კომპონენტსაც.

გამოცდა უნდა მოიცავდეს მინიმუმ სამ კომპონენტს, მაგ.:

- ტესტი;
- თემა (ესე);
- განსაზღვრებები – დეფინიციები;
- ამოცანის ამოხსნა;
- თეორემის დამტკიცება;
- ფორმულის გამოყვანა;
- ქეისის განხილვა;
- კაზუსის ამოხსნა;
- პრაქტიკული დავალება;
- ზეპირი კომპონენტი;
- სხვა

8.1 გამოცდაზე დაშვების წინაპირობა და გამოცდების ჩატარების წესი

სტუდენტის გამოცდაზე დაშვების წინაპირობაა ხელშეკრულების და წინამდებარე დებულების დაურღვევლობა. დამატებითი წინაპირობის არსებობის შემთხვევაში (მაგალითად, ლინგვაფონურ ან სხვა ტიპის სასემინარო-ლაბორატორიულ სამუშაოებზე თუ პრაქტიკუმებზე დასწრება და დავალებების შესრულება), ეს მითითებული იქნება სილაბუსში. სილაბუსში ასევე მითითებული არის გამოცდის სახე, კომპონენტები და ქულები.

გამოცდები ტარდება მხოლოდ უნივერსიტეტში, საგამოცდო ან სპეციალურად ამ მიზნით შერჩეულ კომპიუტერულ აუდიტორიაში. შუალედურ გამოცდას ეთმობა 2 ასტრონომიული საათი, ხოლო ფინალურს - სამი. წერით გამოცდებს ატარებს სასწავლო პროცესის ადმინისტრირების სამსახური, სკოლების მხრიდან გამოცდას ესწრება სკოლის ასისტენტ(ებ)ი. გამოცდაზე ნაშრომები დაშიფრულია. ზეპირი კომპონენტის არსებობის შემთხვევაში, გამოცდას იბარებს სპეციალური კომისია, რომელიც შედგება მინიმუმ სამი წევრისგან, სადაც

თავმჯდომარე არის იმ საგნის სკოლის დირექტორი ან დეპარტამენტის ხელმძღვანელი, რომელშიც ტარდება გამოცდა.

გამოცდაზე დასწრების უფლება შეიძლება მიენიჭოს სტუდენტური თვითმმართველობის წევრს, ან ნებისმიერ დაინტერესებულ პირს მხოლოდ სასწავლო დარგში პრორექტორის წინასწარი ნებართვის საფუძველზე.

იმ შემთხვევაში, თუ ლექტორი არ მისდევს სილაბუსს ან საგამოცდო ტესტში შეაქვს ისეთი საკითხები, რომლებიც არ გაუვლია, სტუდენტმა უნდა მიმართოს საგნის კურატორს. თითოეული საგნის კურატორის სახელი, გვარი და საკონტაქტო ინფორმაცია მითითებულია შესაბამისი საგნის სილაბუსში.

8.2 გამოცდის აღდგენა

გაცდენილი ყოველკვირეული გამოკითხვა (ქვიზი) არ აღდგება.

გამოცდის აღდგენა ხდება როგორც საპატიო, ისე არასაპატიო მიზეზით გაცდენის შემთხვევაში. ამისთვის გამოყოფილია გამოცდის აღდგენის კვირა. გამოცდის აღდგენა არ ხდება იმ შემთხვევაში, თუ სტუდენტს მოხსნიან გამოცდიდან.

8.2.1 საპატიო მიზეზით გაცდენილი გამოცდის აღდგენა

გამოცდის გაცდენის საპატიო მიზეზებია: ავადმყოფობა, მშობიარობა, ოჯახის წევრის გარდაცვალება (დედა, მამა, და, ძმა, შვილი, მეუღლე, ბებია, ბაბუა).

ავადმყოფობის გამო გამოცდის გაცდენის შემთხვევაში, სტუდენტმა „ჩემი UG“-ს მეშვეობით შესაბამისი გამოცდის დამთავრებამდე უნდა მიმართოს სასწავლო პროცესის ადმინისტრირების სამსახურს, სადაც უნდა მიუთითოს ავადმყოფობის პერიოდში მისი ადგილსამყოფელის მისამართი და ტელეფონის ნომერი, რათა უნივერსიტეტის ექიმმა მოინახულოს სტუდენტი. ავადმყოფობა, თუ ის არაა დადასტურებული უნივერსიტეტის ექიმის მიერ საპატიო მიზეზად ვერ ჩაითვლება. დაგვიანებით დაწერილი განცხადება არ განიხილება.

სტუდენტი, რომელიც ეცდება ავადმყოფობის სიმულაციას და იმხილება სიცრუეში, გამოცდის აღდგენაზე აღარ დაიშვება.

გამოცდის სხვა ზემოთ ჩამოთვლილი საპატიო მიზეზით გაცდენის შემთხვევაში, გამოცდის აღდგენაზე გასვლის უფლების მოსაპოვებლად სტუდენტმა „ჩემი UG“-ს მეშვეობით უნდა მიმართოს სასწავლო პროცესის ადმინისტრირების სამსახურის უფროსს და განცხადებას თან დაურთოს საპატიო მიზეზის დამადასტურებელი დოკუმენტი.

განცხადებაზე პასუხს სტუდენტი მიიღებს „ჩემი UG“-ის მეშვეობით განცხადების დაწერიდან მაქსიმუმ ორ სამუშაო დღეში. გამოცდის საპატიო მიზეზის ჩათვლის შემთხვევაში, სტუდენტი გამოცდას აღადგენს გადასახადის გადახდის გარეშე, ხოლო საპატიო მიზეზის არ ჩათვლის შემთხვევაში, სტუდენტი გამოცდის აღდგენაზე არ დაიშვება.

უნივერსიტეტი განსაკუთრებულ პირობებს უქმნის იმ პირებს, რომლებიც გამოირჩევიან მნიშვნელოვანი წარმატებებით საზოგადოებრივი საქმიანობის, სპორტის თუ ხელოვნების სფეროში. კერძოდ, საქართველოს, რეგიონული თუ საერთაშორისო ტურნირების, საერთაშორისო კონკურსების, ფესტივალების გამარჯვებულებს, პრიზიორებს, ლაურიატებს და სხვ.

ასეთ სტუდენტებს განცხადების და შესაბამისი დოკუმენტების წარმოდგენის შემთხვევაში, შეუძლიათ ისარგებლონ შემდეგი შეღავათებით:

ინდივიდუალური სასწავლო გრაფიკი (რაც გულისხმობს იმას, რომ სტუდენტს შეუძლია დარეგისტრირდეს საგანთა ნაკლებ რაოდენობაზე მაგრამ არანაკლებ წელიწადში 30 კრედიტისა);

გამოცდის უფასოდ აღდგენა, რომლის გაცდენის მიზეზი შესაბამის ღონისძიებაში მონაწილეობაა; ასეთ შემთხვევაში, სტუდენტმა „ჩემი UG“-ის მეშვეობით უნდა მიმართოს სასწავლო პროცესის ადმინისტრირების სამსახურის უფროსს არაუგვიანეს გამოცდის წინა სამუშაო დღეს და დაურთოს შესაბამისი დოკუმენტაცია.

8.2.2 არასაპატიო მიზეზით გაცდენილი გამოცდის აღდგენა

არასაპატიო მიზეზით გაცდენილი გამოცდის აღდგენის თაობაზე სტუდენტმა განცხადება უნდა შეავსოს „ჩემი UG“-ის მეშვეობით და დაურთოს საჯარიმო თანხის გადახდის დასკანერებული ქვითარი. ჯარიმის ოდენობას ყოველწლიურად აღდგენს უნივერსიტეტის ადმინისტრაცია.

სტუდენტს, რომელსაც სურვილი აქვს აღადგინოს შუალედური/ფინალური გამოცდა არასაპატიო, თუ საპატიო მიზეზით (გარდა ავადმყოფობისა) გაცდენის შემდეგ, ვალდებულია ამის შესახებ „ჩემი UG“-ის საშუალებით მიმართოს სასწავლო პროცესის ადმინისტრირების სამსახურის უფროსს საპატიო მიზეზის შემთხვევაში არაუგვიანეს გამოცდის დღეს, არასაპატიო მიზეზის შემთხვევაში არაუგვიანეს მომდევნო სამუშაო დღეს.

გამოცდის აღდგენის შესახებ ინფორმაციას სტუდენტი ნახავს „ჩემი UG“-ის მეშვეობით გამოცდებისა და გამოცდების აღდგენის ცხრილში.

ფინალური გამოცდის ჩაგდების შემთხვევაში, სტუდენტს საგანი ხელახლა ექნება ასაღები.

8.3 გამოცდის აღდგენის პროცედურა:

შუალედური და ფინალური გამოცდის გაცდენისას, სტუდენტი „ჩემი UG“-ის მეშვეობით აგზავნის განცხადებას სასწავლო პროცესის ადმინისტრირების სამსახურის უფროსთან. გამოცდის აღდგენა შესაძლებელია გამოცდის აღდგენის კვირაში. განსაკუთრებულ შემთხვევებში, რომლებიც ხელს უშლის გამოცდაზე გამოცხადებას და წერიტი სამუშაოს შესრულებას, როგორცაა: მძიმე მოტეხილობა, ტვინის შერყევა, მძიმე ინფექციური დაავადება, ან ავადმყოფობის გახანგრძლივება (როდესაც სტუდენტი ავად არის დანიშნულ გამოცდის აღდგენაზე) ვინაიდან სტუდენტის გამოჯანსაღების ვადები სცილდება გამოცდის და გამოცდის აღდგენის კვირებს, გამოცდის აღდგენა მოხდება მომდევნო გამოცდების ფარგლებში. ასეთ შემთხვევაში, სტუდენტის განცხადებას ექიმი ადებს შესაბამის რეზოლუციას. ეს არ ვრცელდება ფინალურ გამოცდებზე, ვინაიდან ფინალური გამოცდებისთვის და მათ აღსადგენად გამოყოფილია სამი კვირა (XVI, XVIII, XIX).

გამოცდა აღდგენილად არ ჩაითვლება სტუდენტის მიერ აღნიშნული პროცედურის გავლისა და სასწავლო პროცესის ადმინისტრირების სამსახურის უფროსის მიერ გამოცდის აღდგენის დანიშვნის გარეშე.

სტუდენტი გამოცდის აღდგენაზე დაიშვება მხოლოდ ერთხელ.

8.4 გამოცდაზე ქცევის წესები

საგამოცდო აუდიტორიაში გამოცხადებამდე, სტუდენტებმა ზედმეტი ნივთები (მაგ. ქურთუკები, ჩანთები) უნდა ჩააბარონ გარდერობში. სტუდენტებმა ღირებული ნივთები არ უნდა დატოვონ უმეთვალყურეოდ, წინააღმდეგ შემთხვევაში უნივერსიტეტი იხსნის პასუხისმგებლობას მათი დაკარგვით ან დაზიანებით გამოწვეულ შედეგზე.

სტუდენტი გამოცდაზე უნდა გამოცხადდეს საგამოცდო დროის დაწყებამდე 10 წუთით ადრე; საიდენტიფიკაციო ბარათის ან პირადობის დამადასტურებელი მოწმობის წარდგენის გარეშე სტუდენტი გამოცდაზე არ დაიშვება. იგი ვალდებულია, წინასწარ შეამოწმოს გამოცდაზე მისთვის განკუთვნილი ადგილი, წინააღმდეგ შემთხვევაში, ამ ინფორმაციას დამკვირვებლებისგან იგი ვერ მიიღებს.

საგამოცდო ცხრილში მითითებულ დროს დაიკეტება აუდიტორიის კარი და დაგვიანებული სტუდენტი გამოცდაზე არ დაიშვება. სტუდენტი, რომელიც აღნიშნულ დროს არ იჯდება მისთვის განკუთვნილ ადგილას (იჯდება სხვა ადგილზე ან იდგება ფეხზე), მოხსნილი იქნება გამოცდიდან. ასეთ შემთხვევებში გამოცდა აღდგენას არ ექვემდებარება.

გამოცდის მიმდინარეობისას არ არის ნებადართული:

- საგამოცდო ტესტში, თავფურცელის გარდა, სახელის, გვარის ან რაიმე სახის მინიშნება სტუდენტის პიროვნების ამოსაცნობად;
- საგამოცდო ტესტის გადაშლა, შევსება, დათვალიერება, წაკითხვა დამკვირვებლის მიერ საგამოცდო დროის დაწყების გამოცხადებამდე;
- საუბარი (თუნდაც საათის ან იმის გასაგებად დაამთავრა თუ არა სხვა სტუდენტმა ტესტზე მუშაობა);
- ხმამაღლა შეკითხვის დასმა (შეკითხვის არსებობის შემთხვევაში, სტუდენტმა უნდა აიწიოს ხელი და დაელოდოს დამკვირვებლის მისვლას);
- მოტრიალება;
- სხვის ტესტში ჩახედვა;
- რაიმე სახის ჩანაწერის გამოყენება (ე.წ. „მპარგალკის“ ან სხეულზე ნებისმიერი შინაარსის ჩანაწერი);
- ჩართული მობილური ტელეფონის თან ქონა;
- სხვისი კალკულატორით ან ნებადართული ბეჭდური მასალით სარგებლობა;

- ტესტზე მუშაობის დასრულებამდე საგამოცდო აუდიტორიის დატოვება;
- დამატებითი ფურცლების გამოყენება (სამუშაოდ სტუდენტმა შესაძლოა გამოიყენოს ტესტის ბოლო ცარიელი ფურცელი).

სტუდენტი, რომელიც არ გაითვალისწინებს ზემოაღნიშნულს, მოიხსნება გამოცდიდან პირველივე შემთხვევაში (გაფრთხილების მიუღებლად) გამოცდის აღდგენის უფლების გარეშე და ნამუშევარი არ შეფასდება მიუხედავად იმისა, თუ რა პერიოდში მოხდა დარღვევა ან მისი აღმოჩენა; დარღვევის აღმოჩენის შემდეგ, ფორმდება ოქმი. საგამოცდო ნაშრომი არ გასწორდება სტუდენტის მხრიდან ოქმზე ხელის მოწერაზე უარის თქმის შემთხვევაშიც; გამოცდიდან მოხსნის შემდეგ, სტუდენტმა უხმაუროდ უნდა დატოვოს საგამოცდო აუდიტორია. წინააღმდეგ შემთხვევაში, საკითხი განსახილველად გადაეცემა დისციპლინურ კომისიას;

დამატებითი მასალის (მაგ. კალკულატორის, კოდექსის) გამოყენება

ლექტორის და სკოლის დირექტორის მიერ დამატებითი მასალის გამოყენების ნებართვა აღნიშნულია შესაბამისი საგნის სილაბუსში და საგამოცდო ტესტში. სტუდენტმა ბეჭდური მასალა, რომლის გარეკანზე აღნიშნულია მისი სახელი და გვარი გამოცდის დაწყებამდე უნდა ჩააბაროს დამკვირვებელს. დამკვირვებელი შეამოწმებს მასალას. ნებადართავი მასალის ან ნებადართულ მასალაში რაიმე ჩანაწერების აღმოჩენის შემთხვევაში, სტუდენტი მასალით ვერ ისარგებლებს. სხვისი კალკულატორით ან ბეჭდური მასალით სარგებლობა ნებადართული არ არის.

ტესტზე მუშაობის დასრულების შემდეგ, სტუდენტმა ნაშრომი უნდა ჩააბაროს დამკვირვებელს. ნაშრომი (საგამოცდო თუ ყოველკვირეული გამოკითხვა), რომელსაც გარეკანზე არ ექნება მითითებული სტუდენტის სახელი, გვარი და სტუდენტური კოდი არ შეფასდება.

8.5 გამოცდის შეფასებით უკმაყოფილების შემთხვევაში

გამოცდის შედეგებით (შეფასებით) უკმაყოფილების არსებობის შემთხვევაში, სტუდენტს შეუძლია „ჩემი UG“-ის განცხადების მეშვეობით მიმართოს მისი სკოლის დირექტორს განიხილოს აღნიშნული საჩივარი (არაუგვიანეს გამოცდის შედეგების გამოქვეყნებიდან მესამე დღისა). სტუდენტი საჩივრის დაწერამდე უნდა გაეცნოს საკუთარ ნაშრომს და მიუთითოს თუ რომელი საკითხის / ნაწილის შეფასებას აპროტესტებს. ზოგადი პროტესტი არ განიხილება. განცხადების მიღებიდან არაუგვიანეს ერთი კვირისა სკოლის დირექტორი საკითხს ათანხმებს საგნის ლექტორთან, ან შესაბამისი სკოლის დირექტორთან და ლექტორთან, თუ ლექტორი არის სხვა სკოლის აკადემიური პერსონალი ან მოწვეული სპეციალისტი. თუ ჩაითვლება, რომ სტუდენტის პრეტენზია ცალსახად საფუძვლიანია, მოხდება შეფასების გასწორება, რის შესახებაც წერილობითი და სკოლის დირექტორისა და ლექტორის მიერ ხელმოწერილი დოკუმენტით ეცნობება სასწავლო პროცესის ადმინისტრირების სამსახურის უფროსს, რომელიც შესწორებას შეიტანს უნივერსიტეტის მონაცემთა ბაზაში და ხელმოწერილ დოკუმენტს ჩადებს სტუდენტის პირად საქმეში.

8.6 გამოცდის მიმდინარეობით უკმაყოფილების შემთხვევაში

გამოცდის მიმდინარეობით უკმაყოფილების შემთხვევაში, სტუდენტი გამოცდის ჩაბარების დღესვე „ჩემი UG“-ის განცხადებით მიმართავს სასწავლო დარგის პრორექტორს. პრორექტორი განიხილავს სტუდენტის საჩივარს და შესაბამისი მოკვლევის შედეგების საფუძველზე იღებს გადაწყვეტილებას. პრორექტორის გადაწყვეტილება საბოლოოა და გასაჩივრებას არ ექვემდებარება. სტუდენტის პროტესტის დაკმაყოფილების შემთხვევაში, გამოცდების აღდგენის კვირაში დაინიშნება ხელახალი გამოცდა და წინა გამოცდის შედეგები ანულირდება.

8.7 სემესტრული სტიპენდია და სხვა სახის წახალისებები

რეიტინგული სტუდენტები სარგებლობენ უპირატესობით სტაჟირებების, დასაქმების, თუ სხვა მიმართულებით. საუკეთესო აკადემიური მოსწრების სტუდენტები ჯილდოვდებიან ერთჯერადი პრემიით, ყოველთვიური სტიპენდიით ან სხვა წამახალისებელი ჯილდოთი. რეიტინგულ სტუდენტად ითვლება სტუდენტი, რომლის შეფასება სემესტრში გავლილ თითოეულ საგანში არის 90 ქულა ან მეტი. ამასთანავე, სტუდენტის მიერ სემესტრში მოპოვებული კრედიტების რაოდენობა არ უნდა იყოს

30-ზე ნაკლები. სემესტრული სტიპენდია გულისხმობს სტუდენტისათვის თანხობრივ ჯილდოს მომდევნო ერთი სემესტრის (4 თვის) განმავლობაში. სტიპენდიის მიღების აუცილებელ წინაპირობას წარმოადგენს საქართველოს უნივერსიტეტის სტუდენტის სტატუსის შენარჩუნება შემდეგ სემესტრში. სტიპენდია არ გაიცემა იმ სტუდენტებზე, რომელთაც შეუჩერდათ ან შეუწყდათ საქართველოს უნივერსიტეტის სტუდენტის სტატუსი, გარდა საგანმანათლებლო პროგრამის წარმატებით დასრულების შემთხვევისა. სტატუსის შეჩერების შემთხვევაში, სტიპენდია გაიცემა სტატუსის აღდგენის შემდეგ. ყოველი სასწავლო წლისათვის სტიპენდიის ოდენობას ადგენს უნივერსიტეტის ადმინისტრაცია.

სემესტრის დასრულების შემდეგ, დგინდება სტუდენტების რეიტინგი და მიღებული შედეგები გამოქვეყნდება (განთავსდება ვებ-გვერდზე და განყოფილებაში „ჩემი UG“).

8.8 შეფასების სისტემა

საგნის შეფასება ხდება ქულათა სისტემით. საგნის მაქსიმალური შეფასება შეადგენს 100 ქულას / 100%. საგანში დადებითი შეფასების მინიმალური ზღვარია მაქსიმალური შეფასების 51% - 51 ქულა (ფინალური გამოცდის ზღვარის დაძლევის პირობით);

ფინალური გამოცდა სარგებლობს უპირატესი მნიშვნელობით. საბოლოო გამოცდაზე ჩაჭრილი სტუდენტი მიუხედავად მისი მიღწევებისა შეფასების სხვა კომპონენტებში ითვლება ჩაჭრილად.

დაუშვებელია სტუდენტის სემესტრული მიღწევის შეფასება მხოლოდ სემესტრის ბოლოს ჩატარებული გამოცდის მიხედვით.

საბაკალავრო სწავლების სტუდენტს საგანი ჩავარდნილად ეთვლება და, შესაბამისად, საგანი უპირობოდ ხელახლა აქვს ასაღები, თუ ფინალურ გამოცდაზე მან ვერ გადალახა 60% (ამ შემთხვევაში ფინალური გამოცდის 30 ქულა მიჩნეულია 100%-ად. 30-ის 60% = 18 ქულას).

სტუდენტის შეფასებისათვის გამოიყენება ერთიანი საუნივერსიტეტო მოდელი. საგანში შეფასების განსხვავებული მოდელის არსებობის შემთხვევაში, ის შესაბამისი სკოლის საბჭოს წარდგინებით დამტკიცებული უნდა იყოს უნივერსიტეტის აკადემიურ საბჭოზე.

უნივერსიტეტის შეფასების სისტემა საბაკალავრო სწავლების სტუდენტებისათვის:

- კვირული შეფასება (წერთი ჩათვლები, საშინაო დავალება, ზეპირი გამოკითხვა ან კურსის ხელმძღვანელის მიერ დადგენილი სხვა აქტივობა, რომელიც მას სტუდენტის ყოველკვირული მუშაობის შეფასების შესაძლებლობას აძლევს) 18 ქულა / 18%
- I შუალედური გამოცდა 20 ქულა / 20%
- II შუალედური გამოცდა 20 ქულა / 20%
- ფინალური გამოცდა 30 ქულა / 30%
- წერთი რეფერატი ან კურსის ხელმძღვანელის მიერ დადგენილი სხვა მსგავსი აქტივობა (მაგ. მათემატიკაში ამოცანების ამოხსნა) და მისი პრეზენტაცია 6 ქულა / 6%
- ლექციებზე დასწრება 6 ქულა / 6%

GPA კოეფიციენტი	შეფასება	ქულა
4,00	A	95%-100%
3,50	A-	91%-94%
3,25	B+	87%-90%
3,00	B	84%-86%
2,75	B-	81%-83%
2,50	C+	77%-80%
2,25	C	74%-76%
2,00	C-	71%-73%
1,50	D	66%-70%

1,25	D-	61%-65%
1,00	E	51%-60%
	FX	41%-50%
	F	<40%

დადებითი:

- A, A- = ფრიადი;
- B+, B, B- = ძალიან კარგი;
- C+, C, C- = კარგი;
- D, D- = დამაკმაყოფილებელი;
- E = საკმარისი;

უარყოფითი:

- FX = ვერ ჩააბარა;
- F = ჩაიჭრა;

საგანში სტუდენტის შეფასებისას მრგვალდება მხოლოდ საბოლოო ქულებით. დამრგვალება ხდება შემდეგი პრინციპით: ოთხი და ოთხს ქვევით სიმცირისაკენ, ხუთი და ზევით მეტობით, მაგ.: 65.(1,2,3,4) იქნება 65; 65.(5,6,7,8,9) კი – 66.

თუ სტუდენტმა მაქსიმალური ქულათა რაოდენობიდან დააგროვა 41-50 ქულა (მხოლოდ წარმატებით დაძლეული ფინალური გამოცდის ჩათვლით), მას ერთჯერადად ეძლევა ფინალურ გამოცდაზე ხელმეორედ გასვლის უფლება. გამოცდის აღდგენა ხდება არასაპატიო მიზეზით გაცდენილი გამოცდის პრინციპით.

თუ სტუდენტის მუშაობის რომელიმე კომპონენტის შეფასება ხდება ფინალური გამოცდის შემდეგ, სტუდენტის მიერ მიღებული ქულების მაქსიმალური რაოდენობის (მათ შორის 41-50 ქულის დათვლა, რომელიც სტუდენტს აძლევს ფინალურ გამოცდაზე ხელმეორედ გასვლის უფლებას) გამოთვლა ხდება ამ კომპონენტის შეფასების გათვალისწინებით.

განმეორებითი გამოცდების ორგანიზება ხდება შესაბამისი გამოცდის ჩატარებიდან არანაკლებ 10 დღის განმავლობაში. განმეორებით გამოცდაზე გასვლის მსურველმა სტუდენტმა განცხადებით („ჩემი UG“-ს მეშვეობით) უნდა მიმართოს სასწავლო პროცესის ადმინისტრირების სამსახურს გამოცდის შედეგების გამოქვეყნებიდან არაუგვიანეს 2 სამუშაო დღისა.

სტუდენტს საგანი ჩაბარებულად ეთვლება, თუ მას საგანში არა აქვს მიღებული შეფასება FX ან F.

საგანში დადებითი შეფასების მიღების გარდა, სტუდენტებმა აუცილებლად უნდა შეასრულონ GPA (Grade Point Average – საშუალო შეფასების კოეფიციენტი). GPA -ის გამოსათვლელი ქულები შემდეგნაირად იანგარიშება:

წლიური ქულის გამოთვლა:

$S_1, S_2, S_3, \dots, S_n$ – სტუდენტის მიერ წლის განმავლობაში აღებული საგნები.

$k_1, k_2, k_3, \dots, k_n$ – ამ საგნების შესაბამისი კრედიტები

$q_1, q_2, q_3, \dots, q_n$ – სტუდენტის მიერ ამ საგნებში შესაბამისად აღებული ქულები. (თუ ქულა ნაკლებია 51-ზე, სტუდენტს საგანი ჩაბარებულად არ ეთვლება და საბოლოო ქულის გამოთვლაში ის მონაწილეს, როგორც 0)

სტუდენტის მიერ წლის განმავლობაში აღებული საგნების კრედიტების ჯამი ტოლია: $K = k_1 + k_2 + k_3 + \dots + k_n$

ხოლო საშუალო შეწონილი ქულა გამოიანგარიშება შემდეგნაირად:

$$Q_{\text{შ}} = \frac{k_1 \cdot q_1 + k_2 \cdot q_1 + k_1 \cdot q_1 + \dots + k_1 \cdot q_1}{K}$$

ჩავარდნილი საგნის ხელმეორედ აღებისას ამ საგნის ქულა (საუკეთესო) და შესაბამისი კრედიტი დათვალაში მონაწილეობს ერთხელ.

ბონუსები განსაკუთრებული შემთხვევებისთვის:

1. წლიური საგნების საშუალო რაოდენობაზე **მეტობით** აღებაზე.

იმ შემთხვევაში, როცა სტუდენტის მიერ წლის განმავლობაში აღებული საგნების კრედიტების ჯამი მეტია საშუალო წლიურ მაჩვენებელზე (**K>60**), მაშინ სტუდენტს დამატებით ენიჭება შემდეგნაირად გამოანგარიშებული ქულა:

$$Q_{\text{ბ}} = (100 - Q_{\text{შ}}) \times \frac{Q_{\text{შ}}}{100} \times \frac{K - 60}{100}$$

2. შედეგის გაუმჯობესების ტენდენციაზე.

თუ სტუდენტს წლიური GPA არ აძლევს უნივერსიტეტში სწავლის გაგრძელების შესაძლებლობას, მაგრამ **ბოლო სასწავლო სემესტრში** აღებული საგნებით შესრულებული აქვს სემესტრული GPA, მაშინ წლიური საშუალო ქულის დათვლისას (ზაფხულის სემესტრში ჩავარდნილი და შედეგის გამოსასწორებლად აღებული საგნების განმეორებით გავლის შემდეგ) ამ სემესტრის საშუალო ქულათა მაჩვენებელი მრავლდება 1,1-ზე. ამ ბონუსის მისანიჭებლად საჭიროა სტუდენტმა ზაფხულის სემესტრში ხელახლა გაიაროს ყველა ჩავარდნილი (ან მაქსიმუმ 3) საგანი.

* აკადემიურ შვებულებაში გასული სტუდენტისთვის ასეთი ბოლო სასწავლო სემესტრი იქნება აკადემიურ შვებულებიდან გამოსვლის შემდეგ აღებული სემესტრი.

* ზაფხულის სემესტრი ბოლო სასწავლო სემესტრი არ შეიძლება იყოს.

სტუდენტი მომდევნო სასწავლო წელზე დაიშვება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ კრედიტების მიხედვით I სასწავლო წლის საბაკალავრო სწავლების სტუდენტების GPA უდრის 1.25-ს; II სასწავლო წლის სტუდენტებისთვის - 1.5-ს, ხოლო III და IV სასწავლო წლის ბაკალავრების კი - 2-ს. სტუდენტებს, რომელთაც დაუგროვდათ 240 კრედიტი და შეასრულეს შესაბამისი პროგრამით გათვალისწინებული ყველა მოთხოვნა, GPA არ დაეთვლება.

სტუდენტის GPA-ს სკოლის თითოეულ სემინარზე დასწრებისთვის ემატება 0.1 ქულა (სულ სასწავლო წლის განმავლობაში 2 ქულა).

თუ სტუდენტის GPA ნაკლებია ამ დებულებით განსაზღვრულ ოდენობაზე, მას ერთჯერადად ეძლევა ზაფხულის სემესტრზე დარეგისტრირების და ჩაგდებული (უარყოფითი შეფასების - FX, F) საგნების ხელახლა გავლის შესაძლებლობა. თუ სტუდენტი, ზაფხულის სემესტრის ჩათვლით ვერ აგროვებს GPA-ს, მას უწყდება სტუდენტის სტატუსი. სტუდენტს, რომელსაც არ შესრულება სწავლების ერთი წელი ან შეჩერებული ჰქონდა სტატუსი ერთი სემესტრით, GPA დაეთვლება ერთი სასწავლო წლის დასრულების შემდეგ.

8.9 რეფერატის მომზადება და მისი პრეზენტაცია

საბაკალავრო სწავლების ყველა საგანი (გარდა პრაქტიკული ტიპის საგნებისა, როგორცაა მათემატიკა, ინფორმატიკა, სპორტი და სხვა) მოიცავს რეფერატის მომზადებას და მის პრეზენტაციას. სტუდენტი თემას ირჩევს მეოთხე სასწავლო კვირის დაწყებამდე „ჩემი UG“-ს მეშვეობით.

რეფერატის მომზადებისას სტუდენტმა აუცილებლად უნდა დაიცვას შემდეგი მოთხოვნები:

რეფერატი სრულდება APA სტილში ბეჭდური სახით, რომლის მოცულობა არ უნდა იყოს 1200 სიტყვაზე ნაკლები. რეფერატი ბარდება შესაბამისი საგნის მეთორმეტე ლექციისთვის (XIV კვირა) „ჩემი UG“-ს შესაბამის განყოფილებაში.

რეფერატი შედგება შემდეგი ნაწილებისგან:

- თავფურცელი
- შინაარსი (სარჩევი)
- შესავალი (საკითხის მიმოხილვა)
- ძირითადი ტექსტი
- დასკვნა
- გამოყენებული ლიტერატურა
- დანართები

რეფერატის სტრუქტურის შესაბამისად უნდა მომზადდეს პრეზენტაცია.

მესამე-მეოთხე კურსის სტუდენტებმა რეფერატის მომზადებისას აუცილებლად დამატებით უნდა ისარგებლონ იმ ელექტრონული რესურსებით, რომელსაც უზრუნველყოფს უნივერსიტეტის ბიბლიოთეკა (მაგ. Jstor, EBSCO).

პრაქტიკული ტიპის საგნებში შესაძლებელია რეფერატის ნაცვლად სტუდენტს შესასრულებელი ჰქონდეს ბიზნეს-გეგმა, ამოცანების ამოხსნა, სარჩელი ან სხვა. დავალების სახე სტუდენტს შეუძლია ნახოს შესაბამისი საგნის სილაბუსში.

პლაგიატი, სხვისი ნაშრომის გამოყენება, სასტიკად აკრძალულია. დადასტურების შემთხვევაში, სტუდენტს ნაშრომი გაუუქმდება.

რეფერატისთვის განსაზღვრული 6 ქულიდან, სტუდენტი 4 ქულას აგროვებს საკუთრივ რეფერატში, ხოლო 2 ქულას – მისი პრეზენტაციით.

9 „ჩემი UG“ და მისი გამოყენების წესები

„ჩემი UG“ არის სტუდენტის სამომხმარებლო არე, რომელიც მას საშუალებას აძლევს მიიღოს სასწავლო პროცესთან (შეფასებები, საგამოცდო ცხრილი, გაცდენები და სხვა) ან სტუდენტურ ცხოვრებასთან (სტუდენტური კლუბები, ღონისძიებები, ფაილების გაზიარების წყარო და სხვა) დაკავშირებული ნებისმიერი შეტყობინება თუ ინფორმაცია, გაეცნოს საბაკალავრო სწავლების დებულებას, აკადემიურ კალენდარს, სილაბუსებს, დარეგისტრირდეს საგნებზე, შეუკვეთოს მასალების ასლები, უნივერსიტეტის მონაცემთა ბაზაში განაახლოს პირადი და საკონტაქტო მონაცემები და სხვა.

სტუდენტი პირველადი ადმინისტრაციული რეგისტრაციის დროს მიიღებს „ჩემი UG“-ს კოდს. სასურველია სტუდენტმა შეცვალოს უნივერსიტეტის მიერ მოწოდებული კოდი და არავის გაუმხილოს ის. სტუდენტის მიერ საკუთარი კოდის გაცემის შემთხვევაში უნივერსიტეტი პასუხს არ აგებს აღნიშნული საჭიკელოთ გამოწვეულ შედეგებზე.

„ჩემი UG“-ს დაბლოკვის შემთხვევაში, ბლოკის მოსახსნელად სტუდენტმა უნდა მიმართოს სწავლების მენეჯერს.

9.1 აკადემიური რეგისტრაცია

სტუდენტი აკადემიურ რეგისტრაციას გადის „ჩემი UG“-ის მეშვეობით. აკადემიურ რეგისტრაციაზე სტუდენტი დაიშვება ადმინისტრაციული რეგისტრაციის გავლის შემდეგ. სტუდენტი სემესტრის განმავლობაში უნდა დარეგისტრირდეს 30 კრედიტზე. აკადემიური რეგისტრაციის გრაფაში „ჩემი UG“ სტუდენტს ეხსნება ამ დებულებით დადგენილ ვადაში. აკადემიური რეგისტრაციისას სტუდენტს შეუძლია დარეგისტრირდეს როგორც არჩევით, ასევე ძირითად საგნებზე მისთვის სასურველ დღეს და დროს.

ჯგუფზე არასაკმარისი რაოდენობის სტუდენტების დარეგისტრირების შემთხვევაში, ჯგუფი არ გაიხსნება და სტუდენტებმა უნდა აირჩიონ სხვა საგანი. უნივერსიტეტის ადმინისტრაცია განსაკუთრებული შემთხვევების შექმნის შემთხვევაში იტოვებს უფლებას შეცვალოს სტუდენტის მიერ არჩეული საგნის დღე ან დრო.

დარეგისტრირებული საგნების ნახვა დღეების, დროს და აუდიტორიის მითითებით სტუდენტს შეუძლია იხილოს გვერდზე „სავარაუდო ცხრილი“. რეგისტრაციის დამთავრების შემდეგ, გვერდი „სავარაუდო ცხრილი“

იხურება და საბოლოო ცხრილი სტუდენტს უჩანს გვერდზე „ცხრილი“. პროფესორ-მასწავლებლის მიერ რაიმე მიზეზით (ავადმყოფობა, მივლინება და სხვა) გაცდენილი ლექციის აღდგენის შესახებ ინფორმაციას სტუდენტი მიიღებს ცხრილის გვერდზე. საგნების სილაბუსების ნახვა შესაძლებელია სილაბუსების გვერდიდან შესაბამის საგანზე დაჭერით.

სტუდენტს შეუძლია ნახოს მისი საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული ყველა ძირითადი და არჩევითი საგნები სემესტრებისა და წინაპირობების / თანაპირობების მიხედვით.

9.2 შეფასებები

ყოველკვირეული თუ სხვა ტიპის გამოკითხვის შედეგები მონაცემთა ბაზაში აისახება გამოკითხვის ჩატარებიდან ერთი კვირის ვადაში. სტუდენტი ვალდებულია თვალყურს ადევნოს შეტანილ შეფასებებს და მისი შეფასების არ არსებობის ან შეცდომით დაფიქსირების შემთხვევაში, 10 დღის ვადაში სისტემის „ჩემი UG“-ის მეშვეობით შეტყობინება გაუგზავნოს სასწავლო პროცესის ადმინისტრირების სამსახურს. წინააღმდეგ შემთხვევაში, უნივერსიტეტი პასუხს არ აგებს სტუდენტის მიერ ქულის დაკარგვაზე.

9.3 გამოცდები

საგამოცდო ცხრილი გამოცდების დაწყებამდე ერთი კვირით ადრე განთავსდება „ჩემი UG“-ის გამოცდების განყოფილებაში, სადაც მოცემულია გამოცდის თარიღი, დრო, აუდიტორია, ადგილი საგნების მიხედვით. ამავე განყოფილებაში სტუდენტს შეუძლია ნახოს გამოცდების აღდგენის ცხრილი (ასეთის არსებობის შემთხვევაში), რომელიც განთავსდება გამოცდის ჩატარებამდე მინიმუმ ერთი დღით ადრე.

9.4 მესიჯები

მესიჯების სისტემა სტუდენტს საშუალებას აძლევს მიმართოს როგორც უნივერსიტეტის ადმინისტრაციის თანამშრომლებს, პროფესორ-მასწავლებლებს, ასევე სტუდენტებს.

სტუდენტმა ნებისმიერი ინფორმაციის მისაღებად უნივერსიტეტის თანამშრომლებს უნდა მიმართოს მხოლოდ მესიჯების სისტემის მეშვეობით. სტუდენტი ვალდებულია დროულად გაეცნოს ადმინისტრაციის მიერ გაგზავნილ შეტყობინებებს. წინააღმდეგ შემთხვევაში, უნივერსიტეტი პასუხს არ აგებს შეტყობინების არ წაკითხვით გამოწვეულ ზიანზე.

9.5 განცხადებები

უნივერსიტეტში განცხადებები მიიღება მხოლოდ ელექტრონული ფორმით. სტუდენტმა განცხადებები (გამოცდის აღდგენის, ცნობების მოთხოვნის თუ სხვა) უნდა შეავსოს „ჩემი UG“-ს შესაბამისი განყოფილებიდან. განცხადებების სტატუსს (მსვლელობა მიეცა თუ არა, დაკმაყოფილდა, არ დაკმაყოფილდა) სტუდენტი თვალყურს ადევნებს საკუთარი სამომხმარებლო არიდან.

9.6 საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული არჩევანის გამჭვირვალობა

საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული არჩევანის გამჭვირვალობის უზრუნველსაყოფად, უნივერსიტეტში საუნივერსიტეტო მონაცემთა ბაზის საფუძველზე შემუშავებულია საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული სავალდებულო / არჩევითი საგნებზე / სპეციალიზაციებზე რეგისტრირების ელექტრონული პროგრამა, რომელიც განთავსებულია უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე. პროგრამის მეშვეობით სტუდენტს შეუძლია საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული არჩევითი / სავალდებულო საგნების / ძირითადი / დამატებითი სპეციალიზაციების გაცნობა და სარეგისტრაციო პერიოდში არჩევანის გაკეთება / დარეგისტრირება. რეგისტრაციის პროცესის გამჭვირვალობის, სხვადასხვა საგნებზე რეგისტრაციის მიმდინარეობის შესახებ სტუდენტთა ინფორმირების უზრუნველსაყოფად პროგრამას გააჩნია საგანზე დარეგისტრირებულ სტუდენტთა რაოდენობის მრიცხველი. სტუდენტის მიერ გაკეთებული არჩევანის დაცულობის უზრუნველსაყოფად, რეგისტრაციის შესაძლებლობა სტუდენტებს ეძლევათ ინდივიდუალური კოდის მეშვეობით.

10 სწავლების ენა და უცხოური ენების სწავლება საქართველოს უნივერსიტეტში

10.1 სწავლების ენა

საქართველოს უნივერსიტეტში სწავლების ძირითადი ენა არის ქართული. ცალკეულ საგანმანათლებლო პროგრამებზე კანონმდებლობით გათვალისწინებული წესით სწავლება მიმდინარეობს უცხო ენაზე.

ბაკალავრიატში: I-II კურსის ბაკალავრებთან სასწავლო პროცესი ძირითადად მიმდინარეობს ქართულ ენაზე; III-IV კურსის ბაკალავრებთან სასწავლო პროცესი მიმდინარეობს შერეულად: ლექციები ტარდება ქართულად ან ინგლისურად, თუ ლექტორი უცხოელია, სახელმძღვანელოები კი აქვთ ინგლისური;

ინგლისურენოვანი სახელმძღვანელოების გამოყენების მიზეზია, შესაბამისი დონის სახელმძღვანელოების ქართულად არ არსებობა. თუ ხარისხის უზრუნველყოფის საბჭო მომავალში ჩათვლის, რომ რომელიმე ახლადშექმნილი ქართულენოვანი სახელმძღვანელო პასუხობს უნივერსიტეტის მოთხოვნებს, უნივერსიტეტის შესაბამისი სკოლები, თუ პროგრამები დაიწყებენ მის გამოყენებას.

10.2 უცხოური ენის სწავლება

ძირითადი უცხოური ენა, რომელიც უნივერსიტეტში უმაღლესი პროფესიული და საბაკალავრო პროგრამებით ისწავლება - ინგლისურია.

სტუდენტები, ენების კურსების, საერთაშორისო საერთოფიკატო პროგრამის, ან, საერთოდ, საპროგრამო კურსებისაგან განსხვავებული საგნის ადების შემთხვევაში, იხდიან დამატებით გადასახადს, რომელსაც შესაბამისი სასწავლო წლისათვის ადგენს უნივერსიტეტის ადმინისტრაცია.

სტუდენტებს შეუძლიათ აგრეთვე მოემზადონ საერთაშორისო სერთიფიკატების მოსაპოვებლად: TOEFL, GMAT, IELTS, GRE, LSAT უნივერსიტეტის ფარგლებში ორგანიზებული კურსების გავლით.

ჯგუფები მუშაობას იწყებენ, თუ დარეგისტრირდა მინიმუმ ათი მსურველი.

11 საბაკალავრო ნაშრომების მომზადება–დაცვა

საქართველოს უნივერსიტეტის საბაკალავრო პროგრამების გარკვეული ნაწილი ითვალისწინებს საბაკალავრო ნაშრომის მომზადებასა და დაცვას, რომლის ტექნიკურ მხარეს უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის ადმინისტრირების სამსახური, კერძოდ, საკვალიფიკაციო ნაშრომების მენეჯერი. საბაკალავრო ნაშრომზე სტუდენტი მუშაობას იწყებს, მას შემდეგ რაც მას დაგროვებული ექნება მინიმუმ 210 კრედიტი.

სტუდენტის სწავლის ამ ეტაპზე მნიშვნელოვანია ინდივიდუალური ლექცია–სემინარი ხელმძღვანელ–კონსულტანტთან და ნაშრომის მომზადების ეტაპები.

თემის შერჩევა. სტუდენტის მიერ საბაკალავრო ნაშრომზე რეგისტრაციიდან სემესტრის დაწყებამდე, სტუდენტი სკოლის საბჭოსთან შეთანხმებით ადგენს საბაკალავრო ნაშრომის სავარაუდო თემას. ამავე სხდომაზე ოფიციალურად დასახელდება და დამტკიცდება ხელმძღვანელ–კონსულტანტი. ეს უკანასკნელი ავსებს შესაბამის ბლანკს და ხელმოწერით ადასტურებს თავის თანხმობას აღნიშნული სტუდენტის დასახელებული ნაშრომის ხელმძღვანელობის თაობაზე. ამავე სხდომაზე იქმნება და სათანადო ოქმით ფორმდება შესაბამისი სადისერტაციო საბჭო, რომელშიც შედიან ხელმძღვანელ–კონსულტანტი, თემატიკის მიხედვით სკოლის მინიმუმ ორი სრული / ასოცირებული პროფესორი. საბჭოს თავმჯდომარედ ინიშნება ერთ–ერთი პროფესორი. სხდომის ოქმი ინახება საკვალიფიკაციო ნაშრომების მენეჯერთან.

ინდივიდუალური ლექცია–სემინარი ხელმძღვანელ–კონსულტანტსა და სტუდენტს შორის ხდება კვირაში ერთხელ უნივერსიტეტში წინასწარ შეთანხმებული ცხრილის მიხედვით; სადისერტაციო საბჭოსთან და საკვალიფიკაციო ნაშრომების მენეჯერთან წინასწარი შეთანხმებით, დასაშვებია ლექცია–სემინარების დანიშნული დროსგან განსხვავებულ დროს ჩატარება.

ინდივიდუალური ლექცია–სემინარის დანიშნულებაა სტუდენტის მიერ ნაშრომის მომზადება ხელმძღვანელ–კონსულტანტის დახმარებით. ინდივიდუალური ლექცია–სემინარი გრძელდება ერთი ასტრონომიული საათი; ლექცია–სემინარის ჩატარების აღრიცხვა ხდება შესაბამისი ფორმის შევსებით, რომელშიც აღინიშნება, წინა შეხვედრაზე ხელმძღვანელ–კონსულტანტის მიერ მიცემული დავალება როგორ შეასრულა სტუდენტმა,

ხელმძღვანელის მიერ შესრულებული დავალების შეფასება, მომდევნო შეხვედრისთვის მიცემული დავალება. სულ ლექცია–სემინარების რიცხვი სემესტრში არის 13, საიდანაც ფასდება 12 შეხვედრა. ლექცია–სემინარების ჩატარების შევსებული ფორმა ლექცია–სემინარის დასრულების შემდეგ იბეჭდება და ხელმძღვანელ–კონსულტანტის მიერ ხელმოწერის შემდეგ, ინახება სტუდენტის პირად საქმეში.

საბაკალავრო ნაშრომის მომზადება მოიცავს შემდეგ საფეხურებს:

კონცეფციის დაცვა. კონცეფციის მიზანია ნაშრომის მთავარი იდეის გაჟღერება, შესასწავლი საკითხის ირგვლივ არსებული შეხედულებებისა და უმთავრესი ლიტერატურის მოკლე კომენტარი (ანუ სტუდენტის მიერ არსებული ვითარების ცოდნის დაფიქსირება) და მომავალი კვლევის მეთოდების წარმოჩენა ზოგად ფარგლებში. კონცეფციის დაცვა ხდება არაუგვიანეს მესამე კვირისა. კონცეფციის მოცულობა უნდა იყოს 10–15 გვერდი. კონცეფციის დაცვა შესაძლებელია მოხდეს პრეზენტაციის ფორმით. სხდომის ოქმი კონცეფციის ასლთან და პრეზენტაციის კომპაქტურ დისკზე ჩაწერილ ვერსიასთან ერთად ინახება საკვალიფიკაციო ნაშრომების მენეჯერთან.

კონცეფცია დაცულად ჩაითვლება თუ სტუდენტმა მიიღო მაქსიმალური შეფასების მინიმუმ 60% (9 ქულა). აღნიშნული ზღვარის ვერ გადალახვის შემთხვევაში, სტუდენტს საბაკალავრო ნაშრომი ჩავარდნილად ეთვლება. კონცეფციის რაიმე მიზეზით გაცდენის შემთხვევაში, აღდგენა ხდება გამოცდების აღდგენის პრინციპის დაცვით.

წინასწარი განაცხადის დაცვა. წინასწარი განაცხადი გამოიყენება, როგორც მომავალი საბაკალავრო ნაშრომის საფუძველი, რომელიც შემდგომ დაიხვეწება, განახლება და გაფართოვდება (მაგ., ლიტერატურის მიმოხილვა); ასეთი განახლებისას არ უნდა დაირღვეს შესაბამისობა თემის სათაურს, კვლევის თავდაპირველად დაგეგმილ მიზნებსა და მიღებულ შედეგებს შორის. წინასწარ განაცხადში წარმოდგენილი მეთოდოლოგია და ჰიპოთეზები ეფუძნება წინასწარი კვლევის შედეგებს, მაგრამ ძირითად კვლევას სტუდენტი იწყებს წინასწარი განაცხადის დაცვის შემდეგ. წინასწარ განაცხადში წარმოდგენილი უნდა იყოს საკითხის მოკლე მიმოხილვა; პრობლემის განსაზღვრა და მოსალოდნელი შედეგები (შესავალი); არსებული შეხედულებებისა და ლიტერატურის მიმოხილვა (I თავი); დაგეგმილი კვლევის მეთოდოლოგია (II თავი); გამოყენებული ლიტერატურა, ან ბიბლიოგრაფია (III თავი). დასაშვებია, მასალის ნაწილი წარმოდგენილი იყოს დანართების სახით.

თუ კვლევა სტუდენტისგან მოითხოვს სოციალური კითხვარების დამზადებას, საბჭო ამავე სხდომაზე უმტკიცებს სოციალური კვლევისათვის განკუთვნილ კითხვარებს.

შენიშვნა: კვლევებს, რომლებიც ადამიანს ეხება, მათ დაწყებამდე და მონაცემთა შეგროვებამდე, სჭირდება ადამიანურ საკითხთა საინსტიტუციო საბჭოს (ასსს-ს) თანხმობა. სტუდენტი ვალდებულია კვლევის პროცესში ზედმიწევნით დაიცვას გამოკვლეული ჯგუფების ეთიკური და პიროვნული ღირსება, ასევე სამეცნიერო კვლევების ეთიკა.

წინასწარი განაცხადის დაცვა ხდება არაუგვიანეს მერვე კვირისა. წინასწარი განაცხადი უნდა იყოს 30–35 გვერდი. წინასწარი განაცხადის დაცვა ხდება პრეზენტაციის ფორმით. დაცვის შემდეგ სტუდენტმა საკვალიფიკაციო ნაშრომების მენეჯერს უნდა ჩააბაროს წინასწარი განაცხადის ასლი და პრეზენტაციის ელექტრონული ვერსია ჩაწერილი კომპაქტურ დისკზე.

წინასწარი განაცხადი დაცულად ჩაითვლება თუ სტუდენტმა მიიღო მაქსიმალური შეფასების მინიმუმ 60% (15 ქულა). აღნიშნული ზღვარის ვერ გადალახვის შემთხვევაში, სტუდენტს საბაკალავრო ნაშრომი ჩავარდნილად ეთვლება.

წინასწარი განაცხადის რაიმე მიზეზით გაცდენის შემთხვევაში, აღდგენა ხდება გამოცდების აღდგენის პრინციპის დაცვით.

ნაშრომის ექსპერტიზა. საბოლოო საბაკალავრო ნაშრომი უნდა იყოს 60–65 გვერდი. სტუდენტი დასრულებულ ნაშრომს აბარებს „ჩემი UC“-ს მეშვეობით. როდესაც სტუდენტი დაასრულებს ნაშრომზე მუშაობას, ხელმძღვანელი აცნობებს ამის შესახებ საკვალიფიკაციო ნაშრომების მენეჯერს. თუ სტუდენტს ბაკალავრიატში სწავლის პერიოდში დაგროვილი აქვს კრედიტების სავალდებულო რაოდენობა, საკვალიფიკაციო ნაშრომების მენეჯერი იწვევს სადისერტაციო საბჭოს სხდომას. სხდომაზე, ბაკალავრთან და ხელმძღვანელ–კონსულტანტთან შეთანხმებით, სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარე განიხილავს ექსპერტების კანდიდატურებს (დებულობს კანდიდატების წინასწარ თანხმობას), რომელთაგან ხდება ერთი ექსპერტის შერჩევა.

სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარე გადასცემს დისერტაციის ეგზემპლარებს (ნაბეჭდი და ელექტრონული სახით) საბჭოს თითოეულ წევრს, რომელიც ვალდებულია წარმოადგინოს თავისი შენიშვნები დისერტაციის

შინაარსისა და გაფორმების შესახებ, არაუგვიანეს 1 კვირისა. ექსპერტი თავის შენიშვნებს ხელმძღვანელ-კონსულტანტსა და სტუდენტს უგზავნის დაცვის საბჭოს სხდომამდე.

აღნიშნულ სხდომაზე ინიშნება საბაკალავრო ნაშრომის დაცვის თარიღი. ამით, სადისერტაციო საბჭო ასრულებს მუშაობას. სტუდენტი დასრულებულ ნაშრომს წარუდგენს დაცვის საბჭოს. დაცვის საბჭო შედგება სადისერტაციო საბჭოს წევრებისგან და შერჩეული ექსპერტისგან.

ნაშრომის დაცვა

საკვალიფიკაციო ნაშრომების მენეჯერი საბჭოს აცნობს ინფორმაციას სტუდენტის აკადემიური მოსწრების შესახებ, სხდომების საერთო რიცხვს ნაშრომის მიმართულებით და თითოეული სხდომის ოქმში დაფიქსირებულ გადაწყვეტილებას.

ამის შემდეგ ხელმძღვანელ-კონსულტანტი საბჭოს წევრებს აცნობს ნაშრომზე მუშაობის ისტორიას და ნაშრომის შეფასებას.

სტუდენტი თავისი მოხსენების განმავლობაში წარმოადგენს მეთოდოლოგიას, ნაშრომში მიღებულ შედეგებს და ა.

შ. მოხსენების ხანგრძლივობა განისაზღვრება 15-20 წუთით;

ამის შემდეგ საბჭოს წევრები წარმოადგენენ თავიანთ რეცენზიებს. საბჭოს თავმჯდომარე არ იძლევა რეცენზიას, თუმცა მას შეუძლია გამოთქვას საკუთარი აზრი და შენიშვნები; სტუდენტი თანმიმდევრულად პასუხობს რეცენზიებში გამოთქმულ შენიშვნებს თუ დასმულ კითხვებს;

ნაშრომი დაცულად ჩაითვლება თუ სტუდენტმა მიიღო მაქსიმალური შეფასების მინიმუმ 60% (18 ქულა).

აღნიშნული ზღვარის ვერ გადალახვის შემთხვევაში, სტუდენტს საბაკალავრო ნაშრომი ჩავარდნილად ეთვლება.

დასაშვებია თუ არა წარმოდგენილი ნაშრომის ჩათვლა და მის საფუძველზე კრედიტის მინიჭება გადაწყვეტილებას იღებს დაცვის საბჭო.

უარყოფითი პასუხის შემთხვევაში დაცვის საბჭო ერთი კვირის (7 დღის) ვადაში დაწვრილებით წერილობით აცნობებს სტუდენტს მოსაზრებებს სამუშაოში არსებული ხარვეზების თაობაზე. სტუდენტი ხელახლა რეგისტრირდება საბაკალავრო ნაშრომზე და თავიდან გადის მთელ პროცედურას, რომლის განმავლობაში გათვალისწინებულ უნდა იქნეს ზემოხსენებული შენიშვნები.

სადისერტაციო თუ დაცვის საბჭო ქმედითუნარიანია თუ მას ესწრება წევრთა კვალიფიციური უმრავლესობა. იმ შემთხვევაში, თუ ცნობილია, რომ ექსპერტი ვერ დაესწრება დაცვის საბჭოს სხდომას, სტუდენტი ვალდებულია სხდომამდე გადაუგზავნოს ექსპერტს ნაშრომის ვერსია, სადაც გათვალისწინებულია ექსპერტის შენიშვნები ან პასუხები მის შენიშვნებზე. სტუდენტი დაცვაზე დაიშვება მხოლოდ ექსპერტის წერილობითი თანხმობის საფუძველზე.

სტუდენტის ნაშრომზე მუშაობის შეფასება ხდება შემდეგნაირად:

1. ლექცია-სემინარზე დასწრება	6 ქულა / 6%
2. ყოველკვირეული დავალებების დროულად შესრულება	18 ქულა / 18%
3. კონცეფციის დაცვა	15 ქულა / 20%
4. წინასწარი განაცხადის დაცვა	25 ქულა / 20%
5. ნაშრომი	30 ქულა / 30%
6. საბაკალავრო ნაშრომის პრეზენტაცია	6 ქულა / 6%

საბაკალავრო ნაშრომი უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ მოთხოვნებს:

I. ტექნიკური მხარე:

1. ნაშრომის მოცულობა უნდა შეესაბამებოდეს დებულებით გათვალისწინებულს;
2. ციტირებული ლიტერატურა მითითებული უნდა იყოს სათანადო წესების დაცვით (APA-ს სტილში);
3. ენა და სტილი უნდა იყოს გამართული.

II. შინაარსობრივი მხარე:

1. მკაფიოდ უნდა იყოს წარმოჩენილი პრობლემა;
2. საკითხის ირგვლივ არსებული ლიტერატურა უნდა იყოს სრულყოფილად გაანალიზებული;
3. მკაფიოდ უნდა იყოს წარმოჩენილი კვლევის არჩეული მეთოდი, თუ მოდელი;
4. არგუმენტაცია უნდა იყოს ლოგიკურად გამართული და დამაჯერებელი;
5. საკითხი განხილული უნდა იყოს სრულად;
6. დასკვნები უნდა გამომდინარეობდეს წინარე ტექსტიდან.

ნაშრომის საბოლოო რედაქციის ჩაბარება

დაცვის საბჭოზე სტუდენტმა საბჭოს წევრებისაგან წინასწარ მიღებულ შენიშვნებზე უნდა გასცეს პასუხი (დაეთანხმოს, დააზუსტოს თავისი მოსაზრებები, მისცეს განმარტება, ან არგუმენტირებულად არ დაეთანხმოს).

ნაშრომის რედაქტირების შემდეგ, სტუდენტმა უნდა ჩააბაროს ნაშრომის 2 ასლი. თითოეულ ასლს დაერთვება CD-ზე ჩაწერილი ნაშრომის პრეზენტაცია. ნაშრომის ელექტრონული ვერსია უნდა ჩაბარდეს „ჩემი UG“-ს შესაბამის განყოფილებაში. ასლები გადანაწილდება შემდეგნაირად:

- ერთი აკინძული ამობეჭდილი ასლი უნდა გადაეცეს საკვალიფიკაციო ნაშრომების მენეჯერს;
- ერთი აუკინძავი ამობეჭდილი ასლი უნდა გადაეცეს სკოლას.

12 ხარისხის დამადასტურებელი დოკუმენტის გაცემა

საბაკალავრო სწავლება დამთავრებულად ითვლება და დიპლომი გაცემა იმ შემთხვევაში, თუ სტუდენტმა წარმატებით დაძლია პროგრამით გათვალისწინებული ყველა კომპონენტი. თუ სტუდენტს GPA ექნება არანაკლებ 3.5-ისა, მას გადაეცემა წარჩინების დიპლომი.

დიპლომისა და დიპლომის დუბლიკატის გაცემა ხდება საქართველოს ფინანსთა მინისტრის „მკაცრი აღრიცხვის ფორმების წუსხის, მკაცრი აღრიცხვის ფორმების რეგისტრაციის წესისა და მკაცრი აღრიცხვის ფორმების რეგისტრაციის ჟურნალის ფორმის დამტკიცების თაობაზე“ №669 ბრძანების შესაბამისად.

13 ბიბლიოთეკით სარგებლობის წესი

ბიბლიოთეკაში გაწვერიანება ხდება საქართველოს უნივერსიტეტის სტუდენტის სტატუსის მოპოვებისას. სტუდენტი წევრობას ინარჩუნებს საბაკალავრო პროგრამით სწავლის განმავლობაში. სტუდენტის ბიბლიოთეკის წევრიანება დასტურდება მისი საიდენტიფიკაციო ბარათით.

უნივერსიტეტის კურსდამთავრებულებს, ისევე როგორც გარეშე პირებს, ბიბლიოთეკით სარგებლობის მიზნით, აქვთ უფლება შეიძინონ საბიბლიოთეკო ბარათები.

ბარათის ღირებულება 1 წლით სარგებლობის ვადით უნივერსიტეტის კურსდამთავრებულებისათვის, 2-ჯერ უფრო იაფია გარეშე პირებთან შედარებით.

13.1 ბიბლიოთეკის მუშაობის განრიგი

ორშაბათი – შაბათი – 9⁰⁰–21⁰⁰

კვირა – 10⁰⁰–18⁰⁰

13.2 ბიბლიოთეკაში ქცევის წესები

1. ბიბლიოთეკაში შესვლისთანავე სტუდენტი ვალდებულია ბიბლიოთეკარს დაუტოვოს სტუდენტის ბიბლიოთეკის წევრობის ნომერი და საჭიროების შემთხვევაში გამოიწეროს ბიბლიოთეკიდან წიგნი ან სალექციო მასალა, რომლითაც შეუძლია ისარგებლოს მხოლოდ ბიბლიოთეკის სამკითხველო დარბაზში.

2. დაუშვებელია წიგნების / სასწავლო მასალების ქურდობა, დაზიანება (მაგ. დაფხაჭხა, ფურცლების ამოგლეჯა), რაც წარმოადგენს დისციპლინური კოდექსის დარღვევას. ასეთ საქციელში შემჩნეულ სტუდენტს შეუწყდება სტატუსი.

3. ბიბლიოთეკაში აკრძალულია მოწევა, ხმაური, ტელეფონზე საუბარი, კომპიუტერის არასასწავლო მიზნით გამოყენება.

4. სტუდენტებს არ აქვთ უფლება ბიბლიოთეკაში შეიტანონ სასმელი / საკვები.

წესების დარღვევის შემთხვევაში, ბიბლიოთეკის თანამშრომლის მოხსენებით ბარათის საფუძველზე შეიქმნება დისციპლინური კომისია, რომელიც განიხილავს საკითხს და ბრალულობის დადასტურების შემთხვევაში სტუდენტს შეუფარდება შესაბამისი სასჯელი.

13.3 ბიბლიოთეკაში წიგნის / მასალის მოხმარების წესი

1. სტუდენტი ვალდებულია გამოყენების შემდეგ წიგნი ან სალექციო მასალა დაუბრუნოს ბიბლიოთეკარს, რომელიც დაბრუნებს მას შესაბამის ადგილზე. ვინაიდან ბიბლიოთეკაში არსებულ ნებისმიერ მასალას აქვს თავისი უნიკალური ნომერი, სტუდენტის მიერ თვითნებურად დაბრუნებით შესაძლებელია მოხდეს ნუმერაციის არევა.
2. თუ სტუდენტს აქვს სურვილი გადაინახოს წიგნი / სალექციო მასალა მომდევნო დღისთვის, მან უნდა მიმართოს ბიბლიოთეკის თანამშრომელს. წიგნის / სალექციო მასალის გადანახვა შესაძლებელია ერთი დღით. თუ სტუდენტი არ გამოცხადდა, წიგნი / სალექციო მასალა გადანახულად არ ჩაითვლება. სტუდენტს საშუალება აქვს ზედიზედ სამჯერ გადაინახოს ერთი და იგივე წიგნი / სალექციო მასალა სამი დღის განმავლობაში.

13.4 მასალების (ასლების) შეკვეთა

1. სტუდენტს აქვს შესაძლებლობა „ჩემი UG“-ის საშუალებით ბიბლიოთეკას შეუკვეთოს მისთვის სასურველი სახელმძღვანელო (თუ მოცემული სახელმძღვანელო არ იყიდება საქართველოს უნივერსიტეტის წიგნების მაღაზიაში) ან სალექციო მასალების გადაღება.
2. შეკვეთაში მითითებული უნდა იყოს წიგნის ავტორი, სათაური და გვერდების რაოდენობა.
3. სალექციო მასალების შეკვეთისთვის აუცილებელია სწორად მიეთითოს სალექციო კურსის ხელმძღვანელი, საგნის დასახელება, სალექციო კვირა.
4. შეკვეთის არასწორად შევსების შემთხვევაში სტუდენტს შეკვეთა უუქმდება.
5. სტუდენტის მიერ მიცემული შეკვეთა მზადდება შეკვეთიდან 24 საათის განმავლობაში. სტუდენტმა თავის შეკვეთას უნდა მიაკითხოს წიგნების მაღაზიაში.

13.5 წიგნების გატანა და დაბრუნება

1. ბიბლიოთეკიდან სახელმძღვანელო ლიტერატურის გატანა არ არის ნებადართული. ასეთი ლიტერატურით სარგებლობა შესაძლებელია მხოლოდ ბიბლიოთეკის სამკითხველო დარბაზში.
2. ბიბლიოთეკიდან ნებადართულია მხოლოდ მხატვრული ლიტერატურის გატანა 7 დღის ვადით. წიგნის გატანის ვადის გახანგრძლივება შეიძლება მხოლოდ ორჯერ (მთლიანობაში წიგნი მკითხველთან შეიძლება დარჩეს 21 დღე: 7 დღე გატანის ვადა და 14 დღე ორჯერ გაგრძელების ვადა).
3. მკითხველი ვალდებულია წიგნი დაუბრუნოს ბიბლიოთეკას აღნიშნულ ვადაში.
4. თუ მკითხველი საპატიო მიზეზით (ავადმყოფობა, მშობიარობა, ოჯახის წევრის გარდაცვალება) ვერ უბრუნველყოფს წიგნის დროულად დაბრუნებას, მან აუცილებლად უნდა შეატყობინოს ბიბლიოთეკას გადაცდენის მიზეზი და ბიბლიოთეკა თვითონ უბრუნველყოფს წიგნის დაბრუნებას.
5. წიგნის დროულად არ დაბრუნებისა და ბიბლიოთეკის თანამშრომლების გაუფრთხილებლობის შემთხვევაში, მკითხველი ჯარიმდება და გადაიხდის ჯარიმას – ყოველი გადაცდენილი დღისათვის - 5 ლარის ოდენობით.
6. წიგნის დაკარგვის შემთხვევაში სტუდენტი იხდის ჯარიმას 150 ლარის ოდენობით.
7. ბიბლიოთეკარს აქვს უფლება განსაკუთრებულ შემთხვევებში აკრძალოს ან შეცვალოს ბიბლიოთეკიდან წიგნის გატანის წესი ან არ გაატანოს წიგნი იმ პირებს, რომლებიც შემჩნეულნი არიან წიგნის დაგვიანებით დაბრუნებაში.

14 სასერთიფიკატო კურსები

უნივერსიტეტი საზოგადოებას სთავაზობს სხვადასხვა სასერთიფიკატო პროგრამებს, რომლებიც ხორციელდება შესაბამისი სკოლების ან ცენტრის მიერ გადაჭარბებისა და ტრენინგის ცენტრის მეშვეობით. მსმენელის მიერ სასერთიფიკატო პროგრამის წარმატებით დასრულების შემთხვევაში, მას უფლება აქვს აიღოს სერთიფიკატი. თავისუფალ მსმენელად პირის რეგისტრაცია დასაშვებია მხოლოდ უნივერსიტეტისათვის დადგენილი სტუდენტთა ზღვრული ოდენობის ფარგლებში. უნივერსიტეტს უფლება აქვს უარი უთხრას დაინტერესებულ პირს მსმენელად რეგისტრაციაზე, თუ ასეთი რეგისტრაცია შეზღუდავს უნივერსიტეტის მოქმედი სტუდენტების მიერ უნივერსიტეტის მატერიალურ-ტექნიკური რესურსით სარგებლობის შესაძლებლობას. თავისუფალ მსმენელად დარეგისტრირება შესაძლებელია დებულებით დადგენილი რეგისტრაციის ვადების დაცვის გარეშე, მაგრამ არაუგვიანეს სემესტრის დაწყებისა.